

ბრექსიტის შემდგომი მოლაპარაკებები: შემთხვევის შესწავლა

აბსტრაქტი

მოცემული კვლევა ბრექსიტის შემდგომ მოლაპარაკებებს ლიბერალური ინტერგავერნმენტალიზმის ფრთხილად ანალიზებს. საკითხის შესახებ მცირე შესავლისა და კვლევის დიზაინის შემდგომ, სტატიაში ლიბერალური ინტერგავერნმენტალიზმის მიმოხილვაა მოცემული. შემდეგ აღწერილია ევროკავშირისა და გაერთიანებულ სამეფოს შორის მოლაპარაკებების პროცესი, გაერთიანებული სამეფოსა და ევროკავშირის რამდენიმე სახელმწიფოს (გერმანია, საფრანგეთი, ირლანდია და ესპანეთი) პოზიციები; ასევე მოცემულია მხარეებს შორის მიღწეული შეთანხმების დეტალები. შემდგომ, ბოლო სექციაში, აღნიშნული ინფორმაცია ლიბერალური ინტერგავერნმენტალიზმის მეშვეობითაა გაანალიზებული და მოცემულია მოლაპარაკებების პროცესის ახსნა დაწყებული ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ეროვნული პრეფერენციების ფორმირებით, გაგრძელებული სახელმწიფოთაშორისო და გაერთიანებულ სამეფოსთან მოლაპარაკებებით/„ვაჭრობით“ (bargaining), და დასრულებული ლიბერალური ინტერგავერნმენტალიზმის მესამე ეტაპით – ინსტიტუტების როლით.

საკვანძო სიტყვები: ბრექსიტის მოლაპარაკებები, ლიბერალური ინტერგავერნმენტალიზმი, სავაჭრო/მოლაპარაკებების ძალა, ეროვნული პრეფერენციები, გასვლის შეთანხმება

შესავალი

2016 წელს გამართულ რეფერენდუმზე გაერთიანებულმა სამეფომ ევროკავშირის დატოვებას მხარი მცირე სხვაობით დაუჭირა – 51.9% ევროკავშირის დატოვების მომხრე იყო, ხოლო 48.1% – მოწინააღმდეგე (BBC, 2016). რეფერენდუმის შედეგების გათვალისწინებით, გაერთიანებული სამეფოს პრემიერ-მინისტრმა, ტერეზა მეიმ, 2017 წლის 29 მარტს 50-ე მუხლი (ევროკავშირიდან გასვლის შესახებ) აამოქმედა, თუმცა, აღნიშნული გადაწყვეტილება ბევრმა ნაჩქარევად შეაფასა (Payne, 2017). ამით ოფიციალურად დაიწყო გაერთიანებული სამეფოს ევროკავშირიდან გასვლის პროცესი და შესაბამისად, მოლაპარაკებების პერიოდიც. ის ითვალისწინებდა გასვლის შეთანხმების პირობებისა და ყოვლისმომცველი ჩარჩოს შემუშავებას მომავალი, ბრექსიტის შემდგომი, ურთიერთობებისთვის (Politico, 2017), რომელსაც უნდა მოეცვა ყველა სფერო, მათ შორის, (თავისუფალი) ვაჭრობის ხელშეკრულება და რამდენიმე კომპლექსური საკითხი, რომელიც შემდგომ სექციებში იქნება განხილული. გასვლის შეთანხმების მოლაპარაკების პროცესი 2019 წლის ბოლომდე გაჭიანურდა, რა პერიოდშიც ადგილი ჰქონდა ინტენსიურ ვაჭრობას/გარიგებებს, შეფერხებებს, პოლიტიკურ დრამასა და შეთანხმების ნაწილების ხელახალ მოლაპარაკებებს (BBC, 2019). მოლაპარაკებები კრახის პირას იყო, მაგრამ საბოლოოდ, ე.წ. „შეთანხმების გარეშე (“no-deal”) სცენარი“ თავიდან იქნა აცილებული და გასვლის შეთანხმება მიიღწა. ვაჭრობისა და თანამშრომლობის შეთანხმებას ხელი ერთი წლის შემდეგ, 2020 წლის 30 დეკემბერს მოეწერა (Landler & Castle, 2020).

ბრექსიტი წლების განმავლობაში ანალიზისა და აკადემიური კვლევის ფოკუსი იყო და მის შესახებ მრავალი კვლევა ჩატარდა, მაგრამ ის ჯერ კვლავ შედარებით ახალი ფენომენია და მისი ზოგიერთი ასპექტი დამატებით გამოკვლევას საჭიროებს. მათ შორის, ბრექსიტის გამომწვევი მიზეზები – ე.ი. რამ მისცა რეფერენდუმში ბიძგი „დატოვების კამპანიას“ (Leave campaign) და რა ცვლადებმა და განმსაზღვრელმა ფაქტორებმა განაპირობა ხალხის არჩევანი – ფაქტობრივად, ამომწურავადაა შესწავლილი.

¹ სტატია მომზადდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპული კვლევების ინსტიტუტის ინგლისურენოვანი ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის კურსის „ევროკავშირის მმართველობა და პოლიტიკა, ევროინტეგრაციის თეორიები“ ფარგლებში ნინო ლაჩაშვილის ხელმძღვანელობით, ელექტრონული ფოსტა: klachashvili@gmail.com

ვლილი. ასევე, ბოლო დროს ბრექსიტის შედეგები, ფართოდ გავრცელებული კვლევის თემა გახდა და საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევროინტეგრაციის თეორიები აქტიურად იქნა გამოყენებული აღნიშნული საკითხების განსახილველად. თუმცა, ბრექსიტის შემდგომი მოლაპარაკებების პროცესისთვის (ასევე, მოიხსენიება, როგორც ბრექსიტის მოლაპარაკებები), გარკვეულწილად, ნაკლები ყურადღებაა დათმობილი და ის უკვე შემუშავებული თეორიების მეშვეობით საფუძვლიანად არაა გაანალიზებული.

აქედან გამომდინარე, მოცემული კვლევა მიზნად ისახავს, ამ კუთხით წვლილი შეიტანოს და გაანალიზოს ბრექსიტის მოლაპარაკებები ევროინტეგრაციისა და საერთაშორისო ურთიერთობების თეორიული ქრილით. კერძოდ, რათა ახსნას ორი მხარის (გაერთიანებული სამეფოსა და ევროკავშირის) პოლიტიკა და ქმედებები, მოცემული ნაშრომი აანალიზებს ბრექსიტის მოლაპარაკებებს – როგორც პროცესს, ისე შედეგებს. კვლევაში გამოყენებულია თვისებრივი კვლევის დიზაინი და მეთოდები და ის წარმოადგენს შემთხვევის შესწავლას (case study), კერძოდ, შემთხვევის შესწავლის ახსნით ტიპს. კვლევა მოიცავს 2017 წლის 29 მარტიდან, როდესაც გაერთიანებულმა სამეფომ შეთანხმების – ხელშეკრულება ევროკავშირის შესახებ (Treaty on European Union) – 50-ე მუხლი აამოქმედა და შესაბამისად, მოლაპარაკებების პროცესი დაიწყო, 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდს, როდესაც გაერთიანებულ სამეფოსა და ესპანეთს შორის გიბრალტარის საკითხის შესახებ წინასწარი შეთანხმება მიიღწა და ერთი დღით ადრე ევროკავშირსა და გაერთიანებულ სამეფოს შორის ვაჭრობისა და თანამშრომლობის შეთანხმება გაფორმდა. კვლევის პროცესში გამოყენებულია აკადემიური წიგნები და სტატიები, გაერთიანებული სამეფოსა და ევროკავშირის ინსტიტუტების განცხადებები და ოფიციალური დოკუმენტები, მოსაზრებითი ტიპის სტატიები და ახალი ამბების წყაროები. კვლევის მიზნის მისაღწევად და მოლაპარაკებების პროცესის ახსნისთვის ნაშრომში გამოყენებული მთავარი თეორიული/ანალიტიკური ჩარჩო ლიბერალური ინტერგავერნმენტალიზმია.

თეორიული ჩარჩო – ლიბერალური ინტერგავერნმენტალიზმი

აღნიშნული სექციის მიზანია თეორიული ჩარჩოს მიმოხილვა – მისი ძირითადი იდეისა და მახასიათებლების გამოკვეთა, რომლებიც ნაშრომში ანალიზისთვის იქნება გამოყენებული. როგორც შესავალშია აღნიშნული, ლიბერალური ინტერგავერნმენტალიზმი მოცემულ კვლევაში მთავარ ანალიტიკურ ჩარჩოს წარმოადგენს.

ლიბერალური ინტერგავერნმენტალიზმი – ინტერგავერნმენტალიზმის ერთ-ერთი მიმართულება – 1990-იან წლებში ჩამოყალიბდა. ის ევროკავშირის ინტეგრაციის თეორიებში ერთ-ერთი დომინანტური თეორია გახდა, რომელიც ხშირად მოიხსენიებოდა, როგორც „საბაზისო თეორია“ (“baseline theory”) ან „დიდი თეორია“ (“grand theory”), რომელიც სხვა თეორიების ტესტირებისას შესაძარებლად და შესაფასებლად გამოიყენება. ის, ასევე, წარმოადგენს „დიდ თეორიას“, რომელიც სხვა რამდენიმე თეორიაზე დაყრდნობითაა აგებული, ძირითადად საშუალო ზომის თეორიებზე, როგორცაა რაციონალური ინსტიტუციონალიზმი, ასევე, ზოგადად პოლიტიკური მეცნიერების თეორიები, ნეოფუნქციონალიზმი (თუმცა, ნაკლები დოზით) და კლასიკური ინტერგავერნმენტალიზმი, რომელიც სტენლი ჰოფმანის შექმნილია (Moravcsik & Schimmelfennig, 2018, pp. 67-68).

ლიბერალური ინტერგავერნმენტალიზმი ენდრიუ მორავჩიკმა განავითარა, რომელმაც 1990-იან წლებში გამოქვეყნებულ სტატიებში² განვითარებულ იდეებსა და ჰიპოთეზებს თავი თავის მთავარ წიგნში – „The Choice for Europe: Social Purpose and State Power from Messina to Maastricht – მოუყარა (Parsons, 1998, pp. 74). მორავჩიკის თანახმად, „ცენტრალური არგუმენტი... არის ის, რომ ევროპული ინტეგრაცია საუკეთესოდ შეიძლება იყოს ახსნილი როგორც ეროვნული ლიდერების მიერ გაკეთებული რაციონალური არჩევნების სერია“ (Moravcsik, 1998, pp. 18). ეს, ფაქტობრივად, გულისხმობს, რომ ლიბერალური ინტერგავერნმენტალიზმი ევროკავშირს განიხილავს, როგორც მთავრობათაშორის ორგანიზაციას, სადაც გადაწყვეტილებები მიიღება წევრ ქვეყნებს შორის მოლაპარაკებების შედეგად (სახელმწიფოთაშორისი ვაჭრობა). წევრი ქვეყნების წარმომადგენლები აწარმოებენ მოლაპარაკებებს/ვაჭრობენ შიდა პოლიტიკის პრეფერენციებზე დაყრდნობით და შედეგი დიდწილად დამოკიდებულია ვაჭრობაში მათ ძალასა და ბერკეტებზე. ლიბერალური ინტერგავერნმენტალიზმის შეხედულებებისამებრ, შემდგომი ინტეგრაცია წევრი ქვეყნების მიერ სუვერენიტეტის ნაწილის ზესახელმწიფოებ-

² მაგალითად, იხილეთ “Negotiating the Single European Act: National Interests and Conventional Statecraft in the European Community” და “Preferences and Power in the European Community: A Liberal Intergovernmentalist Approach”.

რივი ინსტიტუტისათვის გადაცემის/დელეგირების სახით ხდება, როდესაც წევრი სახელმწიფოს ეკონომიკურ ინტერესებს შორის თანხვედრაა (Cini, 2019, pp.77).

მორავჩიკი მიუთითებს სამ ფაქტორზე, რომლებიც სახელმწიფოთა რაციონალურ არჩევანზე ახდენს გავლენას: „ქვეყნის შიდა ძლიერი მოთამაშეების ეკონომიკური ინტერესები“, „თითოეული სახელმწიფოს შედარებითი ძალა საერთაშორისო სისტემაში“ და „საერთაშორისო ინსტიტუტების როლი სახელმწიფოთაშორისო ვალდებულებების სანდოობის ხარისხის გაძლიერებაში“ (Moravcsik, 1998, pp. 18). სხვა სიტყვებით რომ ითქვას, მორავჩიკი ავითარებს თეორიას, რომელიც დაფუძნებულია მთავრობათაშორის დაშვებებზე, რომ ევროინტეგრაციის პროცესში გადაწყვეტილების მიღება ხდება წევრი ქვეყნების მიერ, რომლებიც რაციონალური აქტორები არიან და განიხილავენ სამი სხვადასხვა დონის ფაქტორებს – სახელმწიფოთაშორისს, შიდასახელმწიფოებრივს და ინსტიტუციურს. პირველი ორი, ასევე, არის რობერტ პუტნამის "ორდონიანი თამაშის" შრეების – თეორია, რომელიც, მიშელ ცინის აზრით, არის "საწყისი წერტილი ლიბერალური ინტერგავრმენტალიზმის გასაგებად". ცინი ლიბერალურ ინტერგავრმენტალიზმში მოთხოვნისა და მიწოდების მხარეებს განასხვავებს – მოთხოვნა მომდინარეობს ქვეყნის შიდა აქტორებიდან და მიწოდება სახელმწიფოთაშორისო მოლაპარაკებების პროცესებიდან (Cini, 2019, pp. 76-77); და პუტნამის თეორიაზე დამატებით, ლიბერალური ინტერგავრმენტალიზმი, როგორც რეგიონული ინტეგრაციის თეორია, ასევე, მოიცავს ინსტიტუციურ დონეს.

მორავჩიკი ამტკიცებს, რომ როდესაც ევროპული ინტეგრაციის პროცესში სახელმწიფოები რაციონალურ არჩევანს აკეთებენ, ხელმძღვანელობენ შედარებით სტაბილური და წინასწარ კარგად განსაზღვრული ინტერესებით. ამ და მანამდე ნახსენები დაშვებებიდან გამომდინარე, მორავჩიკი გამოყოფს წევრ ქვეყნებს შორის მოლაპარაკების სამ ფაზას: „ეროვნული პრეფერენციების ფორმირება, სახელმწიფოთაშორისო მოლაპარაკებები/ვაჭრობა და საერთაშორისო ინსტიტუტების არჩევანი“ (Moravcsik, 1998, pp. 18).

დასაწყისისთვის, ლიბერალური ინტერგავრმენტალიზმი სახელმწიფოებს უნიტარულ აქტორებად განიხილავს, რომელთა საგარეო პოლიტიკა შიდა დაინტერესებულ მხარეებს შორის მოლაპარაკების პროცესის მიხედვით განისაზღვრება. თავის მხრივ, შიდა დაინტერესებული მხარეები საკითხების მიხედვით განსხვავდებიან (Moravcsik & Schimmelfennig, 2018, pp. 69-70). მაშასადამე, ეროვნული პრეფერენციების ფორმირება არის ინტერესთა ჯგუფებს შორის შეჯიბრის პროცესი, რათა მათი სასურველი პოლიტიკა სახელმწიფოთაშორისო მოლაპარაკებებში მთავრობის პოზიციად იქცეს (Cini, 2019, pp. 77). მორავჩიკმა ჩაატარა სიღრმისეული შემთხვევის შესწავლებები (case studies) და ემპირიულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით დაასკვნა, რომ ევროინტეგრაციის მიმართ სახელმწიფოთა ეროვნული პრეფერენციების განსაზღვრაში ეკონომიკური ინტერესები მთავარ როლს თამაშობს. მის თანახმად, შემთხვევათა უმეტესობა მიუთითებდა, რომ სახელმწიფოების გადაწყვეტილების უკან, რომ ინტეგრაციის პროცესი ჯერ დაწყებულიყო და შემდეგ გაღრმავებულიყო, კომერციული და ეკონომიკური მიზნების განხორციელებისა და შედარებითი უპირატესობების მიღწევის ინტერესი იდგა. მიუხედავად ამისა, ეკონომიკური ინტერესები არ არის ერთადერთი ცვლადი, რომელიც ევროპულ ინტეგრაციაში სახელმწიფოთა ეროვნულ პრეფერენციებს განსაზღვრავს. არამედ, არსებობს სხვა ფაქტორები, განსაკუთრებით გეოპოლიტიკური და უსაფრთხოების საკითხები და იდეოლოგიური ასპექტები. მორავჩიკის მიერ გაანალიზებულ ყველა შემთხვევაში ეკონომიკური ინტერესები ვლიდნებოდა. თუმცა, შესწავლილ შემთხვევათა მნიშვნელოვან ნაწილში იდეოლოგიური და, განსაკუთრებით, გეოპოლიტიკური მიზეზებიც შეიმჩნეოდა; 15-დან სამ შემთხვევაში გადაწყვეტილებებზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია გეოპოლიტიკურმა ინტერესებმა (Moravcsik & Schimmelfennig, 2018, pp. 69-70). აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოებმა შეიძლება პრიორიტეტულად მიიჩნიონ გეოპოლიტიკური მიზნები და შესაბამისად შეცვალონ ეკონომიკური ინტერესები. თეორიული თვალსაზრისით, მორავჩიკს მოჰყავს ნეორეალისტური ახსნა, რომ ევროპული ინტეგრაციის საფუძველი ძალთა ბალანსი იყო – კერძოდ, საბჭოთა კავშირიდან მომდინარე საფრთხის დაბალანსება, სუპერ ძალების მიერ (აშშ და სსრკ) დომინირებულ საერთაშორისო სისტემაში ავტონომიური ევროპული ძალის პოლუსად პოზიციონირება და ეკონომიკურ შეჯიბრში ისეთ მეტოქეებთან ბალანსირება, როგორც, მაგალითად, იაპონია იყო (Moravcsik, 1998, pp. 24-34).

მეორე ეტაპის – სახელმწიფოთაშორისო ვაჭრობის ასახსნელად, ლიბერალური ინტერგავრმენტალიზმი რაციონალურ ინსტიტუციონალიზმს იყენებს. წევრი ქვეყნების ეროვნული პრეფერენციები ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგოა და, შესაბამისად, მათ ურთიერთსასარგებლო პოლიტიკის შესამუშავებლად თანამშრომლობა და მოლაპარაკება უწევთ. თუმცა, სახელმწიფოთაშორისო ვაჭრობის

შედეგების სარგებელი ქვეყნებისთვის შეიძლება განსხვავებული იყოს და ეს დამოკიდებულია მოლაპარაკებაში/ვაჭრობაში ძალასა და ბერკეტებზე. მოგებათა არათანაბარი გადანაწილება გამოწვეულია ევროკავშირის ფენომენით, რომელსაც ასიმეტრიული ურთიერთდამოკიდებულება ჰქვია. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ როდესაც სახელმწიფოს (ან ზოგიერთ მათგანს) არ სურს გარკვეული პოლიტიკის სფეროში არსებული სტატუს-ქვოს შეცვლა, უფრო სავარაუდოა, რომ აღნიშნული აქტორები ეცდებიან სრული პროცესის საბოტაჟს, რათა გარკვეული დათმობები მიიღონ. როგორც მოლაპარაკების ზოგადი წესი, ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის სახელმწიფოთაშორისო ვაჭრობისას ინფორმაცია ღირებული აქტივია და მას, ვინც სხვისი ეროვნული პრეფერენციებისა და განხილული საკითხისადმი ინსტიტუტების დამოკიდებულების შესახებ ინფორმაციას ფლობს, წარმატების მეტი შანსი აქვს. ვაჭრობის პროცესის შესასწავლად თავის წიგნში – Choice of Europe – მორავჩიკი განიხილავს ორ განზომილებას – ეფექტიანობასა და მოგების განაწილებას, ასევე, ყურადღებას ამახვილებს ორ საპირისპირო თეორიაზე – ზესახელმწიფოებრივი ვაჭრობა და მთავრობათაშორისი ვაჭრობა. განხილულ შემთხვევებზე დაყრდნობით, მორავჩიკმა დაასკვნა, რომ სახელმწიფოთა შორის მიღწეული შედეგები შეესაბამება მათ ფარდობით ძალას, რომელიც ასიმეტრიული ურთიერთდამოკიდებულების კონტურებს ასახავს: სახელმწიფოებმა, რომლებმაც ევროინტეგრაციიდან ყველაზე მეტი სარგებელი მიიღეს, იყვნენ ის სახელმწიფოები, რომლებიც ყველაზე მეტ კომპრომისზე მიდიოდნენ, და საპირისპიროდ, ვინც ყველაზე ნაკლებად ისარგებლა ინტეგრაციით ან ადაპტაციისა და ალტერნატივების მაღალი ხარჯები ჰქონდა, „მიდრეკილი იყო იმისკენ, რომ მეტი გავლენა მოეხდინა პირობების დაწესებისთვის“. ამ დაშვებების საპირისპიროდ, ფედერალიზმისა და ნეოფუნქციონალიზმის ზეეროვნული მოლაპარაკების/ვაჭრობის თეორიები მიიჩნევენ, რომ არსებობს „ინფორმაციული ასიმეტრიები“ და ხაზს უსვამენ „ზეეროვნული პოლიტიკური მენარმეების“ (“supranational political entrepreneurs”) ან „იდეური მენარმეების“ (“ideational entrepreneurs”) როლს (მაგალითად, ევროკომისიის პრეზიდენტები). ამ იდეების მიხედვით, სახელმწიფოებს წარმატებული მოლაპარაკებებისთვის ინფორმაცია და იდეები აკლიათ, რასაც „იდეურ მენარმეებს“ აქვთ. თუმცა, ლიბერალური ინტერგავერმენტალიზმი უშვებს, რომ სახელმწიფოთაშორისო ვაჭრობის პროცესში, სწორედ, ზეეროვნული მესამე მხარეები არ ფლობენ საკმარის ინფორმაციას და ეფექტიანი შეთანხმებების წარმატებით გაფორმებისთვის ისინი საჭირო არ არიან. მორავჩიკმა დედუქციის მეთოდით ემპირიულ შემთხვევებზე დაყრდნობით დაასკვნა, რომ ტრანზაქციის ხარჯები არც იმდენად დიდია, რომ მესამე მხარის მედიაციის საჭიროება არსებობდეს და ასევე სახელმწიფოები, როგორც წესი, ამჯობინებენ თავად იკისრონ იდეების მიმწოდებლისა და მენარმის როლი. მიუხედავად ამისა, მორავჩიკი წერს, რომ ზოგიერთმა შემთხვევამ, მაგალითად, ერთიანი ევროპული აქტის მიღებამ აჩვენა, რომ მოლაპარაკება/ვაჭრობის პროცესში ზეეროვნული მენარმეები შესაძლოა ეფექტიანობისთვის საჭირო მაინც გახდნენ (Moravcsik & Schimmelfennig, 2018, pp. 70-71).

საბოლოოდ, ლიბერალური ინტერგავერმენტალიზმი ხსნის წევრ ქვეყნებს შორის მოლაპარაკების მესამე და ბოლო ეტაპს – საერთაშორისო ინსტიტუტების არჩევანს (ინსტიტუციური არჩევანი). ლიბერალური ინტერგავერმენტალიზმის თანახმად, საერთაშორისო ინსტიტუტები, ზოგადად, გრძელვადიანი საერთაშორისო თანამშრომლობისთვისაა საჭირო. აქედან გამომდინარე, წევრი სახელმწიფოები თავიანთი სუვერენიტეტის ნაწილს გადასცემენ ზენაციონალურ ინსტიტუტს, რადგან მათ შეუძლიათ მიიღონ ზომები ისეთ შემთხვევაში, როდესაც ქვეყნებს შეთანხმებიდან გადახვევის მიდრეკილებები გაუჩნდებათ და ასევე, გაუთვალისწინებელი ეფექტების შემთხვევაში. რაც მთავარია, ზენაციონალური ინსტიტუტები იძლევიან გარანტიას, რომ მეორე ეტაპზე (სახელმწიფოთაშორისო მოლაპარაკება/ვაჭრობა) მიღწეული მოგების განაწილება შენარჩუნდება; თანამშრომლობის ხელშეწყობისა და გაურკვევლობის შემცირებით მინიმუმამდე დაიყვანება ტრანზაქციის ხარჯები; ჩამოყალიბდება მექანიზმი, რომ წევრმა ქვეყნებმა გააკონტროლონ ერთმანეთის ქმედებები, ხოლო დარღვევის შემთხვევაში – დააწესონ სანქციები, რითაც შეთანხმებული გარიგებების შესრულება უზრუნველყოფილი იქნება. არსებობს ევროკავშირისთვის უფლებამოსილების დელეგირების სხვადასხვა დონეები, დაწყებული მარტივი სტანდარტებისა და ნორმების დანესებიდან გაგრძელებული კომისიისთვის შეთავაზებებისა და მოლაპარაკების უფლებამოსილების მინიჭებით და დასრულებული ევროპის ცენტრალური ბანკის ან ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოსთვის (ECJ) უფლებამოსილების დელეგირებით.

ბრექსიტის მოლაპარაკებები: ქრონოლოგია, ძირითადი საკითხები და შედეგები

მას შემდეგ, რაც ბრიტანელებმა ევროკავშირიდან გასვლას დაუჭირეს მხარი, თავიდანვე ცხადი იყო, რომ პროცესის დასრულება ერთ დღეში ვერ მოხერხდებოდა, მიუხედავად ბრექსიტის მხარდამჭერი ზოგიერთი ჯგუფის ოპტიმიზმისა. თუმცა, იმის განჭვრეტა თუ როგორ განვითარდებოდა და დროში როგორ გაჭიანურდებოდა ეს პროცესი, ფაქტობრივად, შეუძლებელი იყო, ისევე როგორც შემდგომ მომხდარი მთავარი მოვლენების პროგნოზირება.

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ რეფერენდუმის შედეგით იმედგაცრუების მიუხედავად, ევროკავშირი მზად იყო ბრიტანელი ხალხის არჩევანისთვის პატივი ეცა და ამ არჩევანის შესასრულებლად რთული სამუშაო პროცესი დაეწყო. კენჭისყრისთანავე, ევროკავშირის წარმომადგენლებმა საჯაროდ განაცხადეს, რომ ნანობდნენ, მაგრამ პატივს სცემდნენ რეფერენდუმის გადაწყვეტილებასა და შედეგს და განაცხადეს, რომ მომზადებულნი იყვნენ ამ უარყოფითი სცენარისთვის (European Council, 2016a) ასევე, აღნიშნეს, რომ მოლაპარაკებებისათვის მზაობა ქონდათ (European Council, 2016b).

საპირისპიროდ, გაერთიანებული სამეფო ნაკლებად იყო მზად შედეგისთვის და, სავარაუდოდ, შემდგომ მოსალოდნელ სიტუაციასა და მოლაპარაკებებს არცთუ რთულად და იმაზე მარტივად მიიჩნევდა, ვიდრე ის რეალობაში იყო. როგორც ბრექსიტის ერთ-ერთი გვერდითი ეფექტი, პრემიერ მინისტრი დევიდ კამერონი, მიუხედავად იმისა, რომ 2015 წლის არჩევნებში დიდი უმრავლესობა მოიპოვა, ბრექსიტის რეფერენდუმის წარუმატებლობის ფონზე გადადგა, რითაც გზა გაუხსნა ტერეზა მეის, გამხდარიყო ახალი პრემიერ მინისტრი, რომლის მთავარი ამოცანაც ევროკავშირთან გასვლის პირობებზე მოლაპარაკება იყო (Stewart et al. 2016).

ცხადი იყო, რომ ევროკავშირის მოლაპარაკებების პოზიცია უფრო ძლიერი იყო და გასაკვირი არაა, რომ ევროპული საბჭოს მაშინდელი პრეზიდენტი, დონალდ ტუსკი, ტერეზა მეისთან შეხვედრაზე მოლაპარაკებების მალე დაწყებას ითხოვდა, რათა „შემცირებულიყო და საბოლოოდ დასრულებულიყო გაურკვევლობა“ (European Council, 2016c). მართლაც, ის მიესალმა ბრიტანეთის მთავრობის გადაწყვეტილებას, რომელიც 2016 წლის ოქტომბერში გამოცხადდა, რომ გაერთიანებული სამეფო მომავალი წლის მარტის ბოლოს 50-ე მუხლს გაააქტიურებდა და მოლაპარაკებების პროცესს დაიწყებდა (European Council, n.d.). თუმცა 50-ე მუხლის ამოქმედება ბევრმა ნაჩქარევად, მოუმზადებლად და ნაადრევად მიიჩნია (Payne, 2017), ძირითადად, იმ მიზეზით, რომ გაერთიანებული სამეფო კარგად მომზადებული არ იყო. ეს თვალსაჩინო იყო მხარეების მომლაპარაკებელი დელეგაციების ერთ-ერთ პირველ შეხვედრაზე – სცენა³, რომელშიც ევროკავშირის მხარე მოლაპარაკებებზე ბევრი დოკუმენტით მივიდა, ხოლო ბრიტანელები მხოლოდ ბლოკნოტებით გამოცხადნენ, მხარეთა მზადყოფნის დონეს ასახავდა და გაერთიანებული სამეფოს მოუმზადებლობას წარმოაჩენდა.

ევროკავშირის 27 ქვეყნის ლიდერებმა (ევროპის საბჭოს შემადგენლობა დიდი ბრიტანეთის გარდა) დაასკვნეს, რომ მოლაპარაკებები ევროკავშირის კომისიას იმ სახელმძღვანელო მითითებების საფუძველზე უნდა წარემართა, რომლებსაც ევროკავშირის 27 ქვეყანა დროთა განმავლობაში მიიღებდა. კომისიის წარდგენის საფუძველზე მთავარ მომლაპარაკებლად მიშელ ბარნიე დაინიშნა, თუმცა, ის ანგარიშს არა მხოლოდ კომისიას აბარებდა, არამედ ევროკავშირის 27 წევრი ქვეყნის ლიდერებსაც. ასევე, მას დაევალა ევროპარლამენტის „მჭიდროდ და რეგულარულად“ ინფორმირება. გარდა ამისა, ევროკავშირის საბჭოს და მის მოსამზადებელ ორგანოებს მიენიჭათ როლი „განესაზღვრათ მიმართულება კომისიისათვის“ და „უზრუნველყოსთ მოლაპარაკებების წარმართვა ევროკავშირის 27 წევრი ქვეყნის მითითებების შესაბამისად“ (European Council, 2016d) – რა თქმა უნდა, 27 წევრი სახელმწიფოს ლიდერები არ იქნებოდნენ ჩართული ყოველდღიურ მუშაობაში, მონიტორინგისა და ყველა ტექნიკური დეტალის განხილვაში.

მოლაპარაკების მთავარ საკითხებს შორის, რომელიც დონალდ ტუსკმა მოლაპარაკებების სახელმძღვანელო პრინციპებზე საუბრისას გამოაცხადა, იყო გაურკვევლობის მინიმუმამდე შემცირება, გაერთიანებულ სამეფოში მომუშავე ევროკავშირის კომპანიებისთვის სამართლებრივი ვაკუუმის თავიდან აცილება, გაერთიანებული სამეფოს ფინანსური ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფა, მოქნილი და კრეატიული გადაწყვეტილებების პოვნა ირლანდიასა და ჩრდილოეთ ირლანდიას

³ სურათის ხილვა შესაძლებელია, მაგალითად, შემდეგ ბმულზე: <https://www.politico.eu/article/britain-prepares-to-show-its-brexit-hand-customs-trade-agreement/amp/>

შორის „მყარი საზღვრის“ აღკვეთის მიზნით (ერთადერთი სახმელეთო საზღვარი დიდ ბრიტანეთსა და ევროკავშირს შორის), როგორც ჩრდილოეთ ირლანდიაში მშვიდობისა და სტაბილურობის გარანტიის საშუალება. ტუსკის თანახმად, ეს საკითხები პირველ რიგში უნდა შეთანხმებულიყო გასვლის შეთანხმების ფარგლებში და მხოლოდ ამ საკითხების მოგვარების შემდეგ შეიძლებოდა გადასულიყვნენ სამომავლო ურთიერთობების სხვა მნიშვნელოვანი საკითხების განხილვაზე, მათ შორის, სხვა საკითხებს შორის, ეკონომიკისა და უსაფრთხოების ფართო სფეროებზე (European Council, 2017a).

პირველმა სახელმძღვანელო პრინციპებმა დაადგინა ევროკავშირის პოზიციები იმის შესახებ, რომ უნდა შენარჩუნებულიყო ერთიანი ბაზრის მთლიანობა და „თამაშის თანაბარი პირობები“ (level playing field), რაც იმას ნიშნავს, რომ გაერთიანებული სამეფო ვერ მიიღებდა მონაწილეობას მხოლოდ ევროინტეგრაციისა და საერთო ბაზრის ზოგიერთ სფეროში და ზოგიერთში არა. ასევე, სახელმძღვანელო პრინციპებმა გამორიცხა ხელშეკრულებების დადება ცალკეულ საკითხებზე, რათა თავიდან ყოფილიყო აცილებული გაერთიანებული სამეფოს მიერ სასურველი სფეროების არჩევა. ნაცვლად ამისა, დადგინდა, რომ გასვლის შესახებ შეთანხმება ერთ პაკეტში უნდა ყოფილიყო მოლაპარაკებული და გაფორმებული. უფრო მეტიც, სახელმძღვანელო პრინციპებით დადგინდა, რომ მოლაპარაკებები მთლიანად ევროკავშირს უნდა ეწარმოებინა იმ საკომუნიკაციო არხების გამოყენებით, რომლებიც ექსკლუზიურად იქნებოდა განსაზღვრული გაიდლაინებში და არა ცალკე წევრი ქვეყნების მიერ, რათა არ მომხდარიყო ევროკავშირის გვერდის ავლა და მოლაპარაკებების პოზიციების შესუსტება. აღნიშნულმა, ფაქტობრივად, დაადგინა, რომ მოლაპარაკებების პროცესს ევროკავშირის მთავარი მომლაპარაკებელი მიშელ ბარნიე წარმართავდა და ის იქნებოდა მთავარი საკონტაქტო პირი გაერთიანებული სამეფოსთვის. ევროკავშირს არ სურდა, რომ გაერთიანებულ სამეფოს მისთვის გვერდი აევილო და მოლაპარაკებები უშუალოდ წევრ ქვეყნებთან ან კომისრებთან (ან ევროკავშირის სხვა ოფიციალურ პირებთან) დაეწყო. ეს პრინციპები მოიცავდა არა მხოლოდ გასვლის შეთანხმების მოლაპარაკებებს, არამედ ვრცელდებოდა წინასწარ მოლაპარაკებებს სამომავლო ურთიერთობის ჩარჩოზე, გარდამავალ და ყველა სხვა რელევანტურ შეთანხმებაზე. ევროკავშირმა აირჩია „მოლაპარაკებების ეტაპობრივი მიდგომა“ და 50-ე მუხლის თანახმად, მოლაპარაკებების ორწლიანი ვადა დაანესა. ეტაპობრივი მიდგომა გულისხმობდა, რომ პირველ რიგში უნდა შეთანხმებულიყო მოქალაქეების და ბიზნესის უფლებები. ასევე, უნდა შეთანხმებულიყო გაერთიანებული სამეფოს შესაძლო გადახრები/განსხვავებები ევროკავშირთან დაკისრებული იმ ვალდებულებებისგან, რომლებიც როგორც წევრმა სახელმწიფომ აიღო და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლებოდა საუბარი სამომავლო ურთიერთობების მონახაზზე ან გარდამავალ შეთანხმებებზე (European Council, 2017b).

ევროპული საბჭოს სახელმძღვანელო პრინციპებზე დაყრდნობით, კომისიამ ჩამოაყალიბა მოლაპარაკებების დირექტივები, რომელიც საბჭომ დაამტკიცა. უმთავრეს პრიორიტეტებად გამოიკვეთა მოქალაქეების უფლებები, ფინანსური საკითხების შეთანხმება (გაერთიანებული სამეფოს ევროკავშირის წინაშე აღებული ფინანსური ვალდებულებების შესახებ), ირლანდიაში არსებული სიტუაციის მოგვარება დიდი პარასკევის შეთანხმების დაცვით და ერთიანი ბაზრის მთლიანობასთან დაკავშირებული საკითხები (მათ შორის, საბაჟო საკითხები). კომისიამ ეტაპობრივი მიდგომა გაიმეორა – მხოლოდ მოქალაქის უფლებების, ფინანსური საკითხების გადაწყვეტისა და ჩრდილოეთ ირლანდიის სიტუაციის მოგვარების შემდეგ შეიძლებოდა დაწყებულიყო მოლაპარაკებების მეორე ეტაპი, სადაც განიხილება ყველა სხვა თემა, მათ შორის, სამომავლო ურთიერთობის შეთანხმების წინასწარი განხილვა (European Council, 2017c). მიშელ ბარნიემ აღნიშნულ პუნქტებს მოლაპარაკებების პირველ რაუნდშიც გაუსვა ხაზი (European Commission, 2017).

მეორე მხრივ, დიდმა ბრიტანეთმა ევროკავშირთან განსახილველ სხვადასხვა საკითხზე მისი პოზიციის ამსახველი დოკუმენტები (ე.წ. position papers)⁴ გამოაქვეყნა. აღნიშნული მიზნად ისახავდა იმ კრიტიკის პასუხსა და გამოსწორებას, რომ დიდი ბრიტანეთი მოლაპარაკებებისთვის მოუმზადებელი იყო. ორი ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტი, რომელსაც დოკუმენტები ეხებოდა ჩრდილოეთ ირლანდიისა და საბაჟო საკითხები იყო. ჩრდილოეთ ირლანდიასთან დაკავშირებით, მის მთავრობა დათმობაზე წავიდა, მხედველობაში მიიღეს რა ირლანდიის პოზიციები, მაგრამ წინადადება ზოგიერთ ასპექტში მაინც გაურკვეველი იყო. არსებითად, ეს დოკუმენტები მიზნად ისახავდა ისეთი რეჟიმის დამყარებას, სადაც დიდი პარასკევის შეთანხმება საერთო მიმოსვლის არეალებსა (common travel areas) და მრავალ სფეროში თანამშრომლობასთან ერთად იქნებოდა შენარჩუნებული. აღნიშნული

⁴ Discussing each of them in detail is out of the scope of this paper. They are available at: <https://www.gov.uk/government/collections/article-50-and-negotiations-with-the-eu>

თანამშრომლობის სფეროები მოიცავდა ენერგეტიკულ სექტორსა და ირლანდიასა და ჩრდილოეთ ირლანდიას შორის მყარი საზღვრის აღკვეთას, როგორც მოქალაქეების, ისე საქონლის გადაადგილების ნაწილში (Dunin-Wasowicz, 2017a). ბრიტანეთის გამოქვეყნებულმა პოზიციებმა კრიტიკაც დაიმსახურა, რომლის თანახმადაც, დოკუმენტები იმ დროისთვის არსებულ ვითარებას შემოთავაზებული ზომებიდან საუკეთესო ვარიანტად მიიჩნევა, მაგრამ წარუმატებლობის სერიოზულ რისკს შეიცავდა (O'Toole, 2017).

რაც შეეხება საბაჟო შეთანხმებებს, დიდმა ბრიტანეთმა „დროებითი/შუალედური (interim) საბაჟო კავშირის“ შექმნისა და ამავე დროს თავისთვის მესამე ქვეყნებთან სავაჭრო მოლაპარაკების უფლებისა და შესაძლებლობის შენარჩუნების იდეა წამოაყენა (Reuters, 2017). თუმცა, ეს იდეა თავიდანვე ცოტა უცნაურად გამოიყურებოდა, რადგან ეწინააღმდეგებოდა ეკონომიკის ზოგადად შეთანხმებულ დაშვებებს მესამე მხარეებთან ვაჭრობის შეზღუდვების (diversion) შესახებ მაშინ, როდესაც საბაჟო კავშირში წევრიანდები. შესაბამისად, გაერთიანებული სამეფოს წინადადებას ევროკავშირის მხრიდან თანხმობის მცირე შანსი ჰქონდა, რადგან ამას შესაძლოა ერთიანი ბაზრის მთლიანობის შენარჩუნება გაერთულებინა. მართლაც, გაერთიანებული სამეფოს პოზიციების ამსახველმა დოკუმენტებმა ექსპერტების მწვავე კრიტიკა დაიმსახურა, რადგან ძირითადი კითხვებზე პასუხები გაცემული არ იყო და საეჭვო იყო გაერთიანებული სამეფოს პოზიცია საბაჟო კავშირის მიმართ, როგორც გარდამავალ პერიოდში, ისე გრძელვადიან პერსპექტივაში (Dunin-Wasowicz, 2017b) (BDO, 2017).

ბრექსიტის მოლაპარაკებებში ევროკავშირის 27-ივე წევრ სახელმწიფოს თავისი პირადი, ეროვნული, ინტერესები ჰქონდა. მაგალითად, ირლანდიის მთავარი საზღვრავი ჩრდილოეთ ირლანდიის საკითხი იყო. ირლანდიას სურდა დიდი პარასკევის შეთანხმებით მიღწეული მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნება, ჩრდილოეთ ირლანდიასთან შეუფერხებელი ვაჭრობა და გადაადგილება და ზოგადი თანამშრომლობა ყველა სფეროში. ირლანდიის ინტერესებში, ასევე, შედიოდა ჩრდილოეთ ირლანდიის უფრო მეტად არა დიდ ბრიტანეთთან, არამედ ირლანდიასთან დაკავშირება.

გერმანიას, რომელსაც ევროკავშირში ყველაზე ძლიერი ეკონომიკა აქვს და საფრანგეთთან ერთად ფართოდ მიიჩნევა ევროკავშირის წამყვან სახელმწიფოდ, შემდეგი უპირველესი ინტერესები ჰქონდა: ა) აცეცლებინა ხისტი ან „შეთანხმების გარეშე“ ბრექსიტი, რადგან წმინდა ეკონომიკური გათვლებით ეს საზიანო იქნებოდა – დაარღვევდა რა გერმანია-დიდი ბრიტანეთის ვაჭრობას; ზოგიერთი მაჩვენებლის მიხედვით, გერმანია-დიდი ბრიტანეთის ეკონომიკური კავშირები ყველაზე მჭიდრო და მაღალი იყო – ამრიგად, გერმანია დიდ დარტყმას მიიღებდა (Ryan, 2019); ბ) ევროკავშირის კეთილდღეობისა და პრესტიჟის შენარჩუნება, რადგან ძლიერი ევროკავშირი გერმანიის, როგორც გაერთიანების ლიდერის, უპირველესი გრძელვადიანი მიზანია. ამიტომ, ამ კონტექსტში, გერმანიის ინტერესები მთლიანად დაემთხვა ევროკავშირის ინტერესებს. მაგალითად, გერმანია, ასევე, აქტიურად ეწინააღმდეგებოდა ბრიტანეთისთვის თანამშრომლობის მხოლოდ მისთვის სასურველი სფეროების არჩევის უფლებას, მოითხოვა უზარმაზარი ე.წ. „განქორწინების გადასახადი“ (divorce bill) და ნებისმიერ შეთანხმებაში გამორიცხა ირლანდიასა და ჩრდილოეთ ირლანდიას შორის მყარი საზღვრის შექმნის შესაძლებლობა (Chase, 2019). გარდა ამისა, გერმანიის ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებისა და ზოგადად, ევროკავშირის ინტერესების გამო, მისი კიდევ ერთი პრიორიტეტი რეგულაციებისა და ინდუსტრიის სუბსიდიების კუთხით „თამაშის თანაბარი პირობების“ უზრუნველყოფა იყო (Boffey & Rankin, 2020). აღსანიშნავია, რომ ზოგიერთის მტკიცებით, გერმანია საკუთარ ეკონომიკურ ინტერესებზე მაღლა ევროინტეგრაციის მხარდამჭერ და წინ წამწევ პოლიტიკას დააყენებდა (Molthof, 2018) და შესაბამისად, არ დაუშვებდა, რომ ბრექსიტს ევროკავშირის ძირითადი პრინციპების შელახვა და დაზიანება გამოეწვია (Ryan, 2019).

კიდევ ერთი ეკონომიკა, რომელიც დიდი ბრიტანეთის გასვლის შედეგად ყველაზე მეტად დაზარალებული იქნებოდა, განსაკუთრებით ხისტი ან „შეთანხმების გარეშე“ ბრექსიტის შემთხვევაში, იქნებოდა ესპანეთი (Garicano, 2016). ესპანეთს გაერთიანებულ სამეფოსთან მჭიდრო ეკონომიკური, პოლიტიკური, საგანმანათლებლო-კულტურული და სხვა სახის კავშირები ჰქონდა (Dunham, 2020) – მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა ესპანეთის ეკონომიკური დამოკიდებულება გაერთიანებულ სამეფოზე უფრო ნაკლები ყოფილიყო ვიდრე გერმანიის, ესპანეთის ეკონომიკა, რომელიც უმუშევრობის მაღალი დონით ხასიათდება და გერმანიის ეკონომიკასთან შედარებით გაცილებით სუსტია, დიდი ბრიტანეთის ევროკავშირიდან გასვლაზე უფრო მგრძობიარე იქნებოდა. შესაბამისად, უფრო მეტადაც დაზარალებული იქნებოდა. თუმცა, ეკონომიკური და სხვა ხსენებული ინტერესების გარდა, ესპანეთისთვის მთავარი საკითხი გიბრალტარი იყო, რომელიც გიბრალტარის სრუტეზე ესპანეთის გვერდით სტრატეგიულად განლაგებულ

ლი მცირე ტერიტორიაა. გიბრალტარი ბრიტანეთის ზღვისგალმა ტერიტორიაა მას შემდეგ, რაც მე-18 საუკუნეში ესპანეთს მისი დათმობა აიძულა. მას შემდეგ ესპანეთი არაერთხელ შეინააღმდეგებია დიდი ბრიტანეთის პოზიციასა და სტატუს-ქვოს გიბრალტარის სტატუსთან დაკავშირებით. გამომდინარე იქიდან, რომ გიბრალტარის მოსახლეობამ ბრექსიტის რეფერენდუმზე მხარი ევროკავშირში დარჩენას დაუჭირა, ესპანეთმა ეს საკუთარი ინტერესების გატარების შესაძლებლობად მიიჩნია. მეტიც, გიბრალტარს ერთადერთი სახმელეთო საზღვარი ესპანეთთან აქვს და ასევე ეკონომიკურად (პრაქტიკულად სხვა ყველა სფეროშიც) ევროკავშირზე, განსაკუთრებით კი ესპანეთზე, დამოკიდებული. ესპანეთის ინტერესი სტატუს-ქვოს ისე შეცვლა იყო, რომ გიბრალტარი უფრო მეტად დაახლოვებოდა ესპანეთს და ესპანეთის როლი და გავლენა გიბრალტარში გაიზარდებოდა.

ბოლოს, განსაკუთრებულ ყურადღებას საფრანგეთის პოზიცია და ინტერესები იმსახურებს. ეს, რა თქმა უნდა, გერმანიის პრიორიტეტების მსგავსად, მოიცავდა ერთიანი ბაზრის მთლიანობისა და „თამაშის თანაბარი პირობების“ უზრუნველყოფას (Schnapper, 2021). საფრანგეთი გერმანიასთან ერთად არის ევროკავშირის დე ფაქტო მეორე ან თუნდაც თანა-ლიდერი სახელმწიფო და, შესაბამისად, ევროკავშირის ინტერესები და პრესტიჟი თანაბრად მნიშვნელოვანია მისთვისაც, უფრო მეტად მნიშვნელოვანაც თუ არა, რადგან საფრანგეთის საგარეო პოლიტიკა და იდენტობა საერთაშორისო ასპარეზზე უფრო ძლიერი ევროკავშირის, როგორც ავტონომიური ძალაუფლების ცენტრის, ადვოკატირებაზეა დაფუძნებული. აქედან გამომდინარე, საფრანგეთისთვის მთავარი იყო იმის უზრუნველყოფა, რომ ევროკავშირი მოლაპარაკებებიდან გამოსულიყო, როგორც გამარჯვებული და უფრო მჭიდროდ ინტეგრირებული ბლოკი. ამიტომ, გასაკვირი არაა, რომ საფრანგეთს მოლაპარაკებების პროცესში გაცილებით მტკიცე პოზიცია ჰქონდა, ვიდრე გერმანიას. მოქალაქეთა უფლებები დიდ ბრიტანეთში და თავისუფალი გადაადგილება ლა-მანშის გვირაბის კონტექსტში, ასევე, ძალიან მნიშვნელოვანი იყო საფრანგეთისთვის. გერმანიისა და ესპანეთის ანალოგიურად საფრანგეთს გაერთიანებულ სამეფოსთან სავაჭრო კავშირები საკმაოდ მაღალ დონეზე ჰქონდა (Schnapper, 2021). მნიშვნელოვანია, რომ თევზჭერის პოლიტიკა საფრანგეთისთვის, ასევე, ფუნდამენტური საკითხი იყო, კერძოდ, ფრანგი მეთევზეებისთვის გაერთიანებული სამეფოს წყლებზე წვდომის შენარჩუნება (აღნიშნული საკითხი მნიშვნელოვანი იყო სხვა სახელმწიფოებისთვის, როგორიცაა ნიდერლანდები, ირლანდია და დანია), თუმცა, დიდი ბრიტანეთი დაჟინებით მოითხოვდა მის წყლებზე წვდომაზე უფრო მეტი შეზღუდვის შემოღებას (Rankin, 2020). და ბოლოს, საფრანგეთს ასევე სურდა შეენარჩუნებინა და გაეძლიერებინა თანამშრომლობა გაერთიანებულ სამეფოსთან საგარეო, თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკაში (Schnapper, 2021).

აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის 27-მა წევრმა სახელმწიფომ თავიანთი ინტერესების დაახლოება და გაერთიანება მოახერხა (რაც ახსნაშიც ლიბერალური ინტერგავრემენტალიზმის გამოყენებით ქვემოთ იქნება ახსნილი), მაშინ როდესაც დიდი უთანხმოება იყო ბრიტანეთის მთავრობაში. მაგალითად, ენ. „ჩექერსის (Chequers) გეგმის“ გამოქვეყნებამ მინისტრთა კაბინეტში გახმაურებული გადადგომები გამოიწვია. ასევე, აღნიშნული გეგმა უარყო ევროკავშირმაც, რადგან ის ერთიანი ბაზრის მთლიანობას არღვევდა და ბრიტანეთი ირჩევდა, ევროკავშირის ოთხი თავისუფლებიდან რომლებში მიიღებდა მონაწილეობას (Powell, 2018). გეგმა ითვალისწინებდა „ყველა საქონლისთვის საერთო წესების“ შენარჩუნებას, რაც უზრუნველყოფდა თანაბარ სათამაშო პირობებს, ერთობლივი იურისდიქციის ჩამოყალიბებას ECJ-ისგან თავის დასაღწევად (დიდი ბრიტანეთში არსებული შემთხვევები დიდი ბრიტანეთის სასამართლოებში წავიდოდა, ხოლო ევროკავშირის შემთხვევები – ევროკავშირის სასამართლოებში) და „გაერთიანებული საბაჟო ტერიტორიის“ (combined customs territory) შექმნას, სადაც შიდა და ევროკავშირის ბაზრისათვის განკუთვნილ საქონელზე სხვადასხვა ტარიფები დაწესდებოდა, როგორც საშუალება, ერთდროულად შენარჩუნებულიყო ევროკავშირთან არსებული სავაჭრო კავშირები და ასევე, ბრიტანეთს თავისუფალი ვაჭრობის ახალ შეთანხმებებზე ხელმოწერის საშუალება ჰქონოდა; გეგმა, ასევე, აუქმებდა ადამიანთა თავისუფალ გადაადგილებას და წყვეტდა ევროკავშირის ბიუჯეტში წლიურ გადასახადებს (BBC, 2018a).

გასვლის შეთანხმებისა და პოლიტიკური დეკლარაციის შესახებ პირველი შეთანხმება 2018 წელს იქნა მიღწეული. შეთანხმების თანახმად, „განქორწინების გადასახადი“, რაც დიდ ბრიტანეთს უნდა გადაეხადა, £39 მილიარდი იყო. დიდი ბრიტანეთი, ასევე, უზრუნველყოფდა მოქალაქეთა უფლებებს და ჩრდილოეთ ირლანდიის „ბექსტოფის“ (backstop) მექანიზმს (აღნიშნული გულისხმობდა იმას, რომ ჩრდილოეთ ირლანდია საერთო ბაზარში ისევ რჩებოდა, რათა თავიდან ყოფილიყო აცილებული მყარი საზღვარი და გაერთიანებული სამეფო კვლავ რჩებოდა ევროკავშირის საბაჟო ტერიტორიაში,

რათა დიდ ბრიტანეთსა და ჩრდილოეთ ირლანდიას შორის საბაჟო კონტროლი არ ყოფილიყო (BBC, 2018b). შეთანხმდა, რომ „ბექსთოფის“ მექანიზმი იმოქმედებდა, სანამ შემდგომი შეთანხმება მიიღწეოდა, რომელიც ირლანდიასა და ჩრდილოეთ ირლანდიას შორის მყარი საზღვრის თავიდან ასარიდებლად საბაჟო კავშირში ყოფნის საჭიროებას გააქრობდა; „ბექსთოფის“ მექანიზმი ძალაში რჩებოდა, სანამ ევროკავშირი არ გადაწყვეტდა, რომ მისი გაუქმების მოთხოვნები დაკმაყოფილებული იყო. თუმცა ტერეზა მეის მიერ ევროკავშირთან მოლაპარაკებული შეთანხმება 2018 წელს თემთა პალატის მიერ რამდენჯერმე იქნა უარყოფილი (BBC, 2018c). მეის მცდელობა 2019 წელს, რომ პარლამენტი გარკვეულწილად შეცვლილი პოლიტიკური დეკლარაციის ხარჯზე დაეთანხმებინა, ასევე, წარუმატებელი იყო. მეტიც, აღნიშნული მცდელობის შედეგი მხოლოდ ბრიტანეთის მთავრობის დამცირება იყო, რადგან მთავრობის მიერ თემთა პალატისთვის წარდგენილი შეთავაზებები დეპუტატებმა რამდენჯერმე უარყვეს (BBC, 2019b). შედეგად, მეი იძულებული გახდა ბრექსიტის მოლაპარაკებებისთვის დროის შემდგომი გახანგრძლივება ეთხოვა (Cooper, 2019), ხოლო მას შემდეგ რაც მისი შეთავაზებები პარლამენტარების უმრავლესობის მწვავე კრიტიკის საგანი გახდა, მეის გადადგომის მეტი გზა არ დარჩა (BBC, 2019c).

2019 წლის 24 ივლისს ბორის ჯონსონი გაერთიანებული სამეფოს ახალი პრემიერ-მინისტრი გახდა და მან პრემიერობა ევროკავშირისათვის პოზიციის შეცვლის მოთხოვნით დაიწყო. ევროკავშირი აცხადებდა, რომ ის ცვლილებების შეტანას მხოლოდ პოლიტიკურ დეკლარაციაში განიხილავდა, რომელიც მომავალ ურთიერთობებს ეხებოდა, მაგრამ არა – გასვლის შეთანხმებაში, მაშინ როდესაც ჯონსონს გასვლის შეთანხმების თავიდან მოლაპარაკებაც სურდა. ამისთვის იგი მოლაპარაკებებში არც ე.წ. „მშიშარას თამაშს“ (chicken game) მოერიდა და ევროკავშირის მიერ კომპრომისზე წაუსვლელობის შემთხვევაში კატასტროფული „შეთანხმების გარეშე სცენარის“ განხორციელებას აპირებდა, რაც მძიმედ დააზარალებდა გაერთიანებულ სამეფოს, თუმცა, ევროკავშირიც დაზიანდებოდა (BBC, 2019d). ეს სტრატეგია გარკვეულ დონეზე წარმატებული აღმოჩნდა და მხარეებმა მოილაპარაკეს შეთანხმება, რომელიც აღარ მოიცავდა ყველაზე საკამათო საკითხს – „ბექსთოფის“ მექანიზმს. ახალი შეთანხმების მიხედვით, მთლიანი გაერთიანებული სამეფო ტოვებდა საბაჟო კავშირს, რითაც სხვა სახელმწიფოებთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების გაფორმების შესაძლებლობას იღებდა. ეს ამავდროულად ნიშნავდა, რომ ჩრდილოეთ ირლანდიასა და დიდ ბრიტანეთს შორის დე ფაქტო საბაჟო საზღვარი ჩნდებოდა, თუმცა, შემონმებები არ მოხდებოდა „საზღვარზე“, არამედ „ჩრდილოეთ ირლანდიაში შესვლის წერტილებში“ (points of entry), სადაც ევროკავშირს შეეძლებოდა მისი წარმომადგენლების განლაგება, რომელთაც გარკვეული (არაპირდაპირი) ძალაუფლება ექნებოდათ. მეტიც, პროდუქტები, რომლებიც დიდი ბრიტანეთიდან ჩრდილოეთ ირლანდიაში შედიოდა და შეიცავდა რისკს, რომ ირლანდიაში მოხვდებოდა, იბეგრებოდა. თუმცა, პირადი ბარგი ან კერძო ადამიანების წაღებული ნივთები არ საჭიროებდა შემონმებას. რათა ჩრდილოეთ ირლანდიის საზღვარზე საქონლის შემონმება თავიდან ყოფილიყო აცილებული, ჩრდილოეთ ირლანდია უფრო მეტად ევროკავშირის სარეგულაციო სივრცეში რჩებოდა, ვიდრე გაერთიანებული სამეფოსაში. აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის დამატებითი ღირებულების გადასახადი ჩრდილოეთ ირლანდიაზეც ვრცელდებოდა, თუმცა, მხოლოდ საქონელზე და არა სერვისებზე. ასევე, შეთანხმდა ტრანზიციის გარდამავალი პერიოდი 2020 წლის ბოლომდე, რათა შემდგომი ურთიერთობების მოლაპარაკების დრო ყოფილიყო. ახალი შეთანხმებით, გაერთიანებულ სამეფოში ევროკავშირის მოქალაქეთა და პირიქით, ევროკავშირში გაერთიანებული სამეფოს მოქალაქეების უფლებები, ბინადრობა და სოციალური უსაფრთხოების უფლება გარანტირებული იყო, თუმცა, გადაადგილების თავისუფლება მხოლოდ ტრანზიციის პერიოდის ბოლომდე გაგრძელდებოდა. ტრანზიციის პერიოდში გაერთიანებულ სამეფოს ევროკავშირის წევრობის გადასახადის გადახდაც დაევალა და ჯამში „განქორწინების გადასახადმა“ £32.8 მილიარდი შეადგინა – 6.2 მილიარდით ნაკლები, ვიდრე ეს მეის შეთანხმებით იყო გათვალისწინებული (BBC, 2019e).

მიუხედავად ევროკავშირთან შეთანხმების მიღწევისა, ჯონსონმა თემთა პალატის მხარდაჭერის მოპოვება ვერ უზრუნველყო და შეთანხმებამ პარლამენტის მხარდაჭერა ვერ მოიპოვა. ამის გამო ჯონსონმა სრულიად ანომალური და გასაოცარი ნაბიჯი გადადგა და პარლამენტის დაშლაც კი სცადა, რაც გაერთიანებული სამეფოს სასამართლომ უკანონოდ გამოაცხადა და შედეგად, პარლამენტმა ჯონსონი აიძულა, ბრექსიტის 31 ოქტომბრის ვადა გაეხანგრძლივებინა. საბოლოოდ, ჯონსონმა 2019 წლის დეკემბერში ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარება მოახერხა, რომელიც მან დიდი უპირატესობით მოიგო და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღო ბრექსიტის შეთანხმებამ პარლამენტის მხარდაჭერა (Sandford, 2022).

2020 წლის 31 იანვარს გაერთიანებულმა სამეფომ ევროკავშირი დატოვა. შემდგომ, გარკვეული დაძაბული მომენტების, მწვავე რიტორიკისა და კვლავ „შეთანხმების გარეშე სცენარზე“ საუბრის შემდეგ, მხარეებმა მომავალ ურთიერთობებზე შეთანხმებას – ევროკავშირისა და გაერთიანებული სამეფოს ვაჭრობისა და თანამშრომლობის (EU-UK Trade and Cooperation Agreement) შეთანხმება – ზუსტად ტრანზიციის პერიოდის დასრულებამდე, 30 დეკემბერს, მოაწერეს ხელი (Sandford, 2022). ვაჭრობისა და თანამშრომლობის შეთანხმების თანახმად, საქონელზე ტარიფები და კვოტები არ დაწესდება, მაგრამ შემოღებულ იქნება უსაფრთხოების შემოწმებები, საბაჟო დეკლარაციები და გარკვეული შეზღუდვები გაერთიანებული სამეფოს ცხოველური წარმოშობის პროდუქტებზე, რაც აშკარად უარყოფითად იმოქმედებს ორ მხარეს შორის ვაჭრობაზე. რაც შეეხება მომსახურებასა და კვალიფიკაციას, ამოღებულია ავტომატური აღიარება და წვდომის უფლება. მოკლევადიანი ვიზიტების გარდა (180 დღეში 90 დღე) სავალდებულო გახდა ვიზის აღება. რთული აღმოჩნდა შეთანხმების მიღწევა თევზჭერის საკითხზე – ევროკავშირმა ბრიტანეთის წყლებზე გარკვეული წვდომა შეინარჩუნა, მაგრამ გაერთიანებული სამეფო საკუთარ წყალში თევზჭერიდან თანდათანობით უფრო მეტ წილს მიიღებს და შეუძლია 2026 წლიდან მის წყლებში ევროკავშირის სათევზაო ნავეები მთლიანად აკრძალოს, თუმცა, ევროკავშირი ამას ბრიტანული თევზის დაბეგვრით უპასუხებს. აღნიშნული ზომებით განსაკუთრებით უკმაყოფილო ბრიტანელი მეთევზეები დარჩნენ. გაერთიანებულმა სამეფომ მოახერხა ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს უფლებამოსილებიდან გასვლა, მაგრამ ECJ-მ ჩრდილოეთ ირლანდიაში მიიღო როლი. გაერთიანებულმა სამეფომ, ასევე, დაკარგა ავტომატური წვდომა ევროკავშირის უსაფრთხოების მონაცემთა ბაზებზე (Edgington, 2020).

ასევე, ესპანეთმა და დიდმა ბრიტანეთმა გიბრალტართან დაკავშირებით ცალკე შეთანხმება გააფორმეს, რომლის მიხედვითაც, გიბრალტარი ევროკავშირის შენგენის ზონას შეუერთდებოდა და მისი აეროპორტები და პორტები ესპანეთის პასუხისმგებლობის ქვეშ შენგენის ზონაში შესვლის პუნქტები გახდებოდნენ. სასაზღვრო კონტროლის პასუხისმგებლობა ევროკავშირის სააგენტო Frontex-ს გადაეცა. ასევე, გარანტირებული იყო საქონლის გადაადგილება და „თამაშის თანაბარი პირობები“ (El Pais, 2021).

ანალიზი

პროცესის ფართო შეფასებისთვის, როგორც ეს მოლაპარაკებების უმეტესობაში ხდება, ორივე მხრიდან იყო კომპრომისები, თუმცა, შეიძლება დასკვნის გამოტანა, რომ საბოლოოდ ევროკავშირს ჰქონდა უპირატესობა. ევროკავშირმა მოახერხა თავისი თითოეული მიზნის გარკვეულწილად, კომპრომისებით, მიღწევა, მაშინ, როცა გაერთიანებულმა სამეფომ თავის ბევრ მიზანს ვერ მიაღწია, მაგალითად, დიდი ბრიტანეთის პირველი პოზიციის დოკუმენტები დიდწილად უარყოფილ იქნა; ჩრდილოეთ ირლანდიაში შემოწმებებთან დაკავშირებით ჯონსონის შეთავაზებული ტექნოლოგიური გადაწყვეტის გზაც უარყოფილი იყო; ჩრდილოეთ ირლანდიის საკითხზე გაერთიანებულმა სამეფომ მისთვის სასურველი შეთანხმება ვერ მიიღო, რაც, მაგალითად, იმ ფაქტიდან ჩანს, რომ გაერთიანებული სამეფო აგრესიულად ცდილობს მის ხელახლა მოლაპარაკებას; და ასევე ბრიტანეთს ბევრ სხვა საკითხზე კომპრომისი და საკმაოდ დიდ „განქორწინების გადასახადზე“ დათანხმება მოუწია.

რაც შეეხება ევროკავშირის 27 ქვეყანას, აშკარა იყო, რომ ნევრ სახელმწიფოებს პირადი ეროვნული ინტერესები ჰქონდათ. ევროკავშირსა და გაერთიანებულ სამეფოს შორის მოლაპარაკებების გარდა, ვაჭრობის პროცესი ევროკავშირის 27 წევრს შორისაც მიმდინარეობდა, სადაც სახელმწიფოები მათ მიერ განსაზღვრული და სასურველი პოლიტიკების ევროკავშირის 27 სახელმწიფოს საერთო მოლაპარაკების პრიორიტეტებად „ატვირთვას“ ცდილობდნენ. ეს პროცესი ლიბერალური ინტერგავერნმენტალიზმის მიერ აღწერილ გადაწყვეტილებების მიღების პროცესს წარმოადგენს. მეტიც, ევროკავშირის 27 სახელმწიფოს შორის მოლაპარაკებათა პროცესის დიზაინიც ლიბერალური ინტერგავერნმენტალიზმის ჰიპოთეზაში ჯდება – ნევრი სახელმწიფოების წარმომადგენლები აწარმოებდნენ მოლაპარაკებასა და ვაჭრობას, რათა მათი შიდა პოლიტიკური პრეფერენციები „ატვირთათ“ საერთო პოზიციად და შემდეგ ზეეროვნული ინსტიტუტისთვის მოეხდინათ ძალაუფლების დელეგირება, რადგან სასურველი შედეგების მისაღწევად ეს უკეთესი გზა იქნებოდა. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, ევროკავშირის 27 სახელმწიფოს სახელით გაერთიანებულ სამეფოს ევროკომისია უკეთ მოელაპარაკებოდა, ვიდრე ნევრ ქვეყნებს გაერთიანებულ სამეფოსთან ცალ-ცალკე ეწარმოებინათ მოლაპარაკება. უფრო კონკრეტულად, ევროკავშირის 27 სახელმწიფოს ლიდერები იღებდნენ მოლაპარაკებების გზამკვლევის,

რომელზე დაყრდნობითაც უნდა ეწარმოებინა მოლაპარაკება კომისიის მთავარ მომლაპარაკებელს. შესაბამისად, ევროკავშირის 27 ქვეყანა ევროკომისიისთვის მოლაპარაკების პროცესის გაძლიერების უფლებამოსილების დელეგირებას ახდენდა. პრაქტიკაში ეს ნიშნავდა, რომ კომისია 27-ვე წევრის სახელით აწარმოებდა მოლაპარაკებას, მაგრამ ევროპული საბჭო შეინარჩუნებდა პოლიტიკურ კონტროლს, პროცესს მიმართულებას მისცემდა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში საბოლოო სიტყვის თქმის უფლება ექნებოდა. აღნიშნული განაწილების მიზეზები ლიბერალურ ინტერგავერმენტალიზმში მოიპოვება – სახელმწიფოები იღებენ ევროკავშირის დონის პოლიტიკებს სახელმწიფოთაშორისო მოლაპარაკებით, სადაც ისინი ეროვნულ პრეფერენციებზე დაყრდნობით ვაჭრობენ და შემდეგ ინსტიტუტებზე გარკვეული უფლებამოსილების დელეგირებას ახდენენ, რადგან ევროკავშირის დონის პოლიტიკების გამკლავება ინსტიტუტებს უკეთ შეუძლიათ. მოცემულ შემთხვევაში ევროკავშირის წევრი ქვეყნები ამჯობინებდნენ, მოლაპარაკებები კომისიას წარემართა, რადგან ის ევროკავშირის, როგორც ერთ აქტორს ისე წარმოადგენდა და ეს მათ გაერთიანებულ სამეფოსთან მეტ უპირატესობას მიანიჭებდა, ვიდრე წევრი სახელმწიფოების მიერ ცალ-ცალკე მოლაპარაკება. ასევე, ევროკავშირის პირობები და ზომები, რომლებიც ცალკეულ საკითხებზე შეთანხმებას გამორიცხავდა და გასვლის შეთანხმებას ერთ პაკეტად განიხილავდა და მთავარი მომლაპარაკებლის გვერდის ავლის მოლაპარაკებებს კრძალავდა, ევროკავშირის მოლაპარაკებების ყველა არეალში მეტ ძალას ანიჭებდა. ეს მიიღწეოდა საკითხების ერთმანეთთან დაკავშირებით და ასევე, იმ მოცემულობით, რომ ევროკავშირის 27 სახელმწიფოს ბლოკის სახით მეტი ბერკეტი ჰქონდა. მართლაც, არჩეული ტაქტიკის უპირატესობა თვალსაჩინოა იმ ფაქტიდანაც, რომ გაერთიანებული სამეფო ცდილობდა ბარნიეს გვერდის ავლით გერმანიისა და საფრანგეთის ლიდერებთან და ევროკომისიის პრეზიდენტის კაბინეტთან მოლაპარაკებას (Powell, 2021).

როგორც მორავჩიკმა დაასკვნა, ეროვნული პრეფერენციების ფორმირებისას მთავარი როლი ეკონომიკურ ინტერესებს ენიჭება. ეს აშკარა იყო ბრექსიტის შემდგომ მოლაპარაკებებშიც – ეკონომიკური ინტერესები მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ შიდა პოლიტიკის ფორმირებაში, მაგალითად გერმანიას, ესპანეთსა და საფრანგეთს ეკონომიკური მიზნები ჰქონდათ (ასევე, პრაქტიკულად ყველა სხვა სახელმწიფოსაც, რომელიც ცალკე არაა განხილული). მაგალითად, განსაკუთრებით გერმანიის და ასევე, საფრანგეთისა და ესპანეთის შემთხვევაში შიდა ინტერესის ჯგუფები, რომელთაც გაერთიანებულ სამეფოსთან მიმართ მნიშვნელოვანი ეკონომიკური ინტერესები ჰქონდათ, მათ მთავრობებზე გავლენას ახდენდნენ, რომ მიეღოთ ზომები, რომლებიც თავიდან აირიდებდა „შეთანხმების გარეშე სცენარს“ – ევროკავშირი დაჟინებით აცხადებდა, რომ ის გასვლის შეთანხმების თავიდან მოლაპარაკებას არ აპირებდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ჯონსონმა ე.წ. „მშიშარას თამაში“ (chicken game) დაიწყო და „შეთანხმების გარეშე სცენარი“ შესაძლებელი გახდა, ევროკავშირი საბოლოო ვადის გახანგრძლივებასა და ხელახალ მოლაპარაკებას დათანხმდა. აღნიშნულის ერთ-ერთი მიზეზი იყო, რომ ევროკავშირის წევრი ქვეყნების კომპანიები გაერთიანებულ სამეფოში ოპერირებდნენ, მაგალითად BMW, მძიმედ არ დაზარალებულიყვნენ, რადგან ეს ბევრ სამუშაო ადგილს რისკის ქვეშ დააყენებდა. იგივე არგუმენტი ვრცელდება საფრანგეთზეც, ევროკავშირის მეთევზეებისთვის გაერთიანებული სამეფოს წყლებში წვდომის გაუქმების შემთხვევაში მოსალოდნელი ეკონომიკური შედეგისა და შესაძლო უმუშევრობის გათვალისწინებით. გარდა იმისა, რომ გაერთიანებულ სამეფოში მოქმედი ესპანური კომპანიები (და პირიქით, ესპანეთში მოქმედი ბრიტანული კომპანიები) დაზარალებოდნენ, მსგავსი სპეციფიკური საკითხი ესპანეთისთვის ტურიზმის სექტორი იყო. ეკონომიკური ინტერესები მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ მეტად პოლიტიკურ და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ჩრდილოეთ ირლანდიის საკითხშიც, რამდენადაც ის ევროკავშირის საერთო ბაზრისა და საბაჟო კავშირის ერთიანობას შეეხებოდა.

როგორც ლიბერალური ინტერგავერმენტალიზმში ამტკიცებს, ეკონომიკური ინტერესები დომინანტურია, მაგრამ უსაფრთხოება, გეოპოლიტიკური და პოლიტიკური ინტერესები ეროვნული პრეფერენციების ფორმირებაში, ასევე, თამაშობენ როლს. ეს აშკარა იყო ირლანდიის შემთხვევაში – ის ეძებდა გამოსავალს, რომელიც მყარი საზღვრისა და საზღვარზე შემოსემების არდაშვებით მშვიდობას შეინარჩუნებდა. ესპანეთისთვის გეოპოლიტიკური ინტერესი გიბრალტარი იყო. გერმანიის პოლიტიკური ინტერესები გულისხმობდა იმის გარანტიას, რომ ევროინტეგრაციის პროექტი ძლიერი დარჩებოდა. თევზჭერის პოლიტიკის გარდა, საფრანგეთს ძლიერი ევროპის მიმართ იდეოლოგიური, იდენტობის და გეოპოლიტიკური მიზეზების გამო მსგავსი ინტერესები ჰქონდა. ასევე, საფრანგეთის ინტერესები მოიცავდა მოქალაქეთა უფლებებსა და უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობას გაერთიანებულ

სამეფოსთან. შესაბამისად, შესაძლოა, უსაფრთხოება და პოლიტიკური ინტერესები გადამწყვეტი არ ყოფილიყო, თუმცა მოლაპარაკებებში მაინც მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს, როგორც ამას მორავ-ჩიკი ამტკიცებდა თავის თეორიაში.

აღნიშნული ეროვნული პრეფერენციები სახელმწიფოთაშორისო მოლაპარაკების მეორე ეტაპზე შეჯერდა. მაგალითად, ირლანდიამ მოახერხა ჩრდილოეთ ირლანდიის საკითხი ევროკავშირის ერთ-ერთ პრიორიტეტად ექცია, ამას სავარაუდოდ საკითხის ზემოხსენებულმა ეკონომიკურმა ასპექტმაც შეუწყო ხელი. ევროკავშირის ერთ-ერთ პრიორიტეტად მოქალაქეთა უფლებებიც იქცა. საბოლოოდ, გერმანიისა და საფრანგეთის პოლიტიკური და იდეოლოგიური ინტერესებიც მყარად იქნა გათვალისწინებული. მოცემული საკვანძო საკითხების გარდა, სახელმწიფოთაშორისო მოლაპარაკებების შედეგად ასევე გათვალისწინებული იქნა თევზჭერის პოლიტიკა, მაგრამ არა ისეთ მნიშვნელოვან საკითხად, როგორც წინა სამი. ევროკავშირმა, ასევე, გიბრალტარის საკითხთან დაკავშირებით ესპანეთს დაუჭირა მხარი.

გაერთიანებულ სამეფოსთან მოლაპარაკებებში გამოიყენებოდა „ევროკავშირის, როგორც ერთიანი აქტორის“ კონცეფცია, რაც ძალიან წარმატებული აღმოჩნდა. როგორც უკვე აღინიშნა, ერთიანი ევროკავშირის გაერთიანებული ძალებით გაცილებით მეტი ძალა ჰქონდა მოლაპარაკებებში, მაშინ, როდესაც დიდ ბრიტანეთში პოლიტიკური სპექტრი გაიყო და თავიანთ პრეფერენციებზეც ვერ შეთანხმდნენ. შედეგად, ირლანდიამ ჩრდილოეთ ირლანდიასთან დაკავშირებით სასურველ შეთანხმებას მიაღწია – არა მხოლოდ უზრუნველყო მშვიდობისა და დიდი პარასკევის შეთანხმების შენარჩუნება, არამედ ევროკავშირის სარეგულაციო ჩარჩოში დარჩენის გამო ჩრდილოეთ ირლანდია უფრო დაშორდა გაერთიანებულ სამეფოს და უფრო დაუახლოვდა ირლანდიას. ერთიანი ბაზრის მთლიანობა შენარჩუნდა; გაერთიანებული სამეფოს მოუწია დათანხმებულიყო საბაჟო კავშირიდან გასვლასა და ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის ნაკლებად ამბიციურ შეთანხმებას, რათა სხვა სახელმწიფოებთან სავაჭრო ხელშეკრულებების გაფორმება შეძლებოდა. ასევე, ევროკავშირმა მოქალაქეთა უფლებებსა და „განქორწინების გადასახადთან“ დაკავშირებით ხელსაყრელ პირობებს მიაღწია. იმის გამო, რომ ევროკავშირის 27 წევრს შორის სახელმწიფოთაშორისო მოლაპარაკებების დროს თევზჭერის პოლიტიკა მთავარ პრიორიტეტებში ვერ მოხვდა, ევროკავშირი კომპრომისზე წავიდა, თუმცა, სულ მცირე რამდენიმე წლის განმავლობაში ბრიტანეთის წყლებში წვდომის გარანტიის მოპოვება მაინც მოახერხა. ასევე, ევროკავშირის მხარდაჭერით, ესპანეთმა გიბრალტართან დაკავშირებით მომგებიანი შეთანხმება მიიღო – გახადა იგი უფრო დამოკიდებული ევროკავშირსა და ესპანეთზე და მოიპოვა გარკვეული უფლებამოსილებები შესვლის პუნქტებზე, ხოლო ბრიტანეთმა გარკვეული გავლენა დაკარგა.

კომისიისთვის მოლაპარაკებების წარმართვის უფლებამოსილების მინიჭების გარდა, ლიბერალური ინტერგავერმენტალიზმის მესამე ეტაპის პრინციპები ECJ-სთვის ჩრდილოეთ ირლანდიის პროტოკოლზე უფლებამოსილების მინიჭებაშიც გამოიხატა. როგორც ლიბერალური ინტერგავერმენტალიზმი ამტკიცებს, იმის შესანარჩუნებლად, რაც მეორე ეტაპზე შეთანხმდა და იმისათვის, რომ მხარეთა შესაბამისობა უზრუნველყოფილი იყოს, ინსიტუტეციებია საჭირო. ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს, სწორედ, ეს ფუნქციები დაეკისრა – პროტოკოლის დარღვევების ზედამხედველობა და გადამწყვეტილების მიღება. ევროკავშირმა ეს მექანიზმი უკვე გამოიყენა კიდევაც (Burchard, 2021).

და ბოლოს, არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ მიუხედავად იმისა, რომ მორავჩიკი ზენაციონალური პოლიტიკური მენარმეების როლს გადამწყვეტ ფაქტორად არ განიხილავდა, ზოგჯერ მის დადებით ეფექტსაც არ უარყოფდა. ამ კონტექსტში, მიშელ ბარნიეს, როგორც ზენაციონალურ მენარმეს, გარკვეული დამსახურებები აქვს. მან ევროკავშირის წარმატებაში წვლილი შეიტანა არა მხოლოდ გაერთიანებულ სამეფოსთან მოლაპარაკებების წარმოებით, არამედ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების დედაქალაქებში ვიზიტებით, რითაც მოლაპარაკებებში ევროკავშირის ერთიანობის შენარჩუნებას ცდილობდა. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო იმის ფონზე, რომ გაერთიანებული სამეფო გერმანიასთან, საფრანგეთთან და კომისიის პრეზიდენტთან დამოუკიდებლად, ბარნიეს გვერდით ავლით, მოლაპარაკებას ცდილობდა.

დასკვნა

ზემოთ მოცემული ანალიზიდან გამომდინარე, შეიძლება იმის დასკვნა, რომ რომ ლიბერალური ინტერგავერმენტალიზმი ბრექსიტთან დაკავშირებული მოლაპარაკებების გასაანალიზებლად სასარგებლო თეორიაა. ევროკავშირის სტრატეგია, რომ გადამწყვეტილების მიმღები საბჭო ყოფილი, მაგრამ

მოლაპარაკების პროცესი კომისიას გადასცემოდა, არის პროცესი, რასაც ლიბერალური ინტერგავერმენტალიზმი აღწერს. ნევრი სახელმწიფოების ეროვნული პრეფერენციები ძირითადად ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე ყალიბდებოდა, თუმცა, უსაფრთხოებისა და პოლიტიკური ასპექტებიც იყო გათვალისწინებული, რისი იგნორირებაც შეუძლებელია. ნევრი ქვეყნების ეროვნული ინტერესები მაშინ სახელმწიფოთაშორისო მოლაპარაკების პროცესის საგანი იყო და შედეგად, ჩრდილოეთ ირლანდიის საკითხს, ერთიანი ბაზრის მთლიანობასა და მოქალაქეთა უფლებებს პრიორიტეტი მიენიჭა, რასაც „განქორწინების გადასახადი“, თევზჭერის პოლიტიკა, „შეთანხმების გარეშე“ ბრექსიტის სცენარის პრევენცია და გიბრალტარის საკითხი მოჰყვებოდა. მოლაპარაკებების, როგორც ერთიანი ბლოკის სახით მოლაპარაკების შედეგად ევროკავშირის 27 ნევრ სახელმწიფოს მოლაპარაკებაში/ვაჭრობაში უფრო მეტი ძალა ჰქონდა და როგორც ლიბერალური ინტერგავერმენტალიზმი იწინასწარმეტყველებდა, თავისი შედეგების უმეტესობას მიაღწია. გარდა ამისა, ECJ ჩრდილოეთ ირლანდიის პროტოკოლის „გარანტიად“ დაინიშნა.

პოსტ-სკრიპტუმი

ევროკავშირსა და გაერთიანებულ სამეფოს შორის ვაჭრობისა და თანამშრომლობის შეთანხმების ხელმოწერა ბრექსიტის მოლაპარაკებების საგის დასასრული არ აღმოჩნდა.

ყველაზე რთული საკითხი ბრექსიტის შემდგომი მოლაპარაკებების დროს – ჩრდილოეთ ირლანდიის პროტოკოლი – ევროკავშირსა და დიდ ბრიტანეთს შორის დაპირისპირების მთავარი მიზეზი გახდა. დავა დღემდე გადაუჭრელი რჩება, გამოსავალი კი ჯერჯერობით არ ჩანს. 2020 წლის სექტემბერში დიდმა ბრიტანეთმა ე.წ. „შიდა ბაზრის კანონპროექტი“ (Internal Market Bill) წამოაყენა, რომელიც გაერთიანებულ სამეფოს მისცემდა უფლებას, ჩრდილოეთ ირლანდიასა და დიდ ბრიტანეთს შორის ვაჭრობის ზოგიერთი ასპექტი დაერეგულირებინა იმ შემთხვევაში, თუ ევროკავშირი და გაერთიანებული სამეფო სავაჭრო შეთანხმებას ვერ მიაღწევდნენ. გაერთიანებულმა სამეფომაც კი აღიარა, რომ კანონპროექტი საერთაშორისო სამართალს დაარღვევდა, რადგან ის ბრექსიტის გასვლის შეთანხმებას ეწინააღმდეგებოდა. თუმცა, მხარეებმა შეთანხმებას მიაღწიეს და, შესაბამისად, გაერთიანებულმა სამეფომ საერთაშორისო შეთანხმების დარღვევას თავი აარიდა (ჩრდილოეთ ირლანდიის საკითხზე გარკვეული პრინციპების შეთანხმების შემდეგ გაერთიანებულმა სამეფომ განაცხადა, რომ კანონპროექტის საკამათო პუნქტებს გააუქმებდა).

მიუხედავად ამისა, მოვლენების ამგვარმა განვითარებამ აჩვენა, რომ გაერთიანებული სამეფოს მთავრობა ხელშეკრულების დებულებებს ეწინააღმდეგებოდა, რომლებიც ევროკავშირთან თავად გააფორმა (Campbell, 2022). ეს კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ ბრექსიტის მოლაპარაკებების დროს გაერთიანებულმა სამეფომ ჩრდილოეთ ირლანდიასთან დაკავშირებით ხელსაყრელ შეთანხმებას ვერ მიაღწია. შესაბამისად, გაერთიანებულმა სამეფომ პროტოკოლის დებულებებზე ხელახალი მოლაპარაკების წამოწყება გადაწყვიტა. გაერთიანებული სამეფოს მთავრობა მივიდა დასკვნამდე, რომ პროტოკოლმა ისე არ იმუშავა, როგორც მათ სურდათ. მთავრობა ამტკიცებდა, რომ საჭირო იყო პროტოკოლის ხელახლა შემუშავება, რათა, სხვა მოთხოვნებთან ერთად, დიდი ბრიტანეთიდან ჩრდილოეთ ირლანდიაში გატანილ საქონელზე ყველა შემომწმება მოხსნილიყო და თავიდან ყოფილიყო არიდებული ევროკავშირის ინსტიტუტებთან ანგარიშვალდებულება – ე.ი. პროტოკოლის აღსრულებისას ECJ-ის იურისდიქცია მოხსნილიყო (O'Carroll et al., 2021). ევროკავშირმა გაერთიანებული სამეფოს შეთავაზება ჩრდილოეთ ირლანდიის პროტოკოლის გაუქმების შესახებ უარყო და პროტოკოლს „ერთადერთი გამოსავალი“ უწოდა (O'Carroll, 2021a). ევროკავშირი მზად იყო კომპრომისზე წასულიყო – გამარტივებინა და გაუქმებინა ბევრი შემომწმება (დაახლოებით 50%) ჩრდილოეთ ირლანდიაში გაგზავნილ ბრიტანულ საქონელზე (Boffey, 2021), თუმცა, მთლიან გარიგებაზე ხელახალი მოლაპარაკებების ინიციატივას არ დაეთანხმა (The Economist, 2022).

მოლაპარაკების პროცესს თავისი პოზიტიური და უარყოფითი მომენტები ჰქონდა. მაგალითად, მას შემდეგ, რაც საგარეო საქმეთა მინისტრმა, ლიზ ტრზსმა ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტ მაროს სეფკოვიჩთან (Maroš Šefčovič) გაერთიანებული სამეფოს სახელით მოლაპარაკებები დაიწყო, პროცესი საკმაოდ „კონსტრუქციულ ატმოსფეროში“ მიმდინარეობდა და საერთო განწყობა დადებითი იყო (Gallardo, 2022). შეიძლება ითქვას, მხარეებს შორის დაძაბულობის განმუხტვას ვლადიმერ პუტინმაც შეუწყო ხელი, მას შემდეგ, რაც ევროკავშირი და გაერთიანებული სამეფო უკრაინაში რუსეთის არაპროვოცირებული და გაუმართლებელი შეჭრის წინააღმდეგ გაერთიანდნენ (Castle, 2022). თუმცა, გაე-

რთიანებული სამეფოსთვის, ევროკავშირის წინადადებები საკმარისად დამაკმაყოფილებელი არ იყო (Reuters, 2021). ძირითადად, გაერთიანებული სამეფო ჩრდილოეთ ირლანდიის პროტოკოლში ECJ-ის როლის შენარჩუნებას არ თანხმდებოდა (O'Carroll, 2021b). მნიშვნელოვანი უთანხმოებების გამო, მოლაპარაკებებმა შედეგი ვერ გამოიღო და ჩრდილოეთ ირლანდიის ადგილი ევროკავშირის საერთო ბაზარში საფრთხის ქვეშაა. ამან კი, შეიძლება უფრო მყარი საზღვარი და ადგილზე დესტაბილიზაცია გამოიწვიოს (Gallardo, 2022b), მაშინ როდესაც ჩრდილოეთ ირლანდიის დემოკრატიული Unionist პარტია (DUP) პროტოკოლს ეწინააღმდეგება და ჩრდილოეთ ირლანდიის ასამბლეის ფუნქციონირებას აფერხებს (BBC, 2022). ბორის ჯონსონმა „პროტოკოლის კანონპროექტის“ (Protocol Bill) შემოღებით, რომელიც გაერთიანებულ სამეფოს პროტოკოლის ცალმხრივად შეცვლის უფლებას ანიჭებს, რაც, ევროკავშირის აზრით, საერთაშორისო სამართალს არღვევს, სიტუაცია კიდევ უფრო დიდი საფრთხის წინაშე დააყენა (Campbell, 2022). ჯონსონი მკაცრი კრიტიკის ქვეშ მოექცა, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. ევროკავშირმა აღნიშნულს გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ ორი სამართლებრივი დავის ინიცირებით უპასუხა (Gallardo & Pogatchnik, 2022). ევროკავშირის წარმომადგენელმა, სეფკოვიჩმა სავაჭრო ომიც არ გამორიცხა (Reuters, 2022), და რეალურად, მხარეები სავაჭრო ომის ზღვარზე არიან (Islam, 2022). ევროკავშირის გაერთიანებული სამეფოს პროდუქტების სიაც კი აქვს, რომელსაც სავაჭრო ომის ფარგლებში დაარტყამს (იგულისხმება ტარიფების დაწესება-გაზრდა ან დასაბრუნება) თუ გაერთიანებული სამეფოს წარდგენილი კანონპროექტი ამოქმედდება (Downing, 2022). Financial Times-მა დაწერა, რომ „ევროკავშირთან სრული სავაჭრო ომი ნაკლებად სავარაუდოა, მაგრამ ბრიტანეთი მწვავე გვერდითი ეფექტებს უკვე განიცდის“ (Bush, 2022). სიტუაცია იმდენად რიხში შევიდა, რომ ირლანდიის ვიცე-პრემიერმა (კოალიციური შეთანხმების მიხედვით, ის პრემიერ-მინისტრის პოსტს 2022 წლის ბოლოს დაუბრუნდება) ისიც კი განაცხადა, რომ წარმატებული მოლაპარაკება შესაძლოა მხოლოდ ბრიტანეთის ახალ მთავრობასთან იყოს შესაძლებელი (Pogatchnik, 2022 წ.). საბოლოოდ, ჯონსონი გადადგა და სავარაუდოდ, ახალი მთავრობა სექტემბერში ჩამოყალიბდება – თუ როგორ განვითარდება ევროკავშირი-დიდი ბრიტანეთის დავა ჩრდილოეთ ირლანდიის პროტოკოლზე დიდადაა დამოკიდებული იმაზე, თუ ვინ გახდება ახალი პრემიერ-მინისტრი.

ჩრდილოეთ ირლანდიის პროტოკოლის გარდა, გაერთიანებულ სამეფოსა და ევროკავშირს, განსაკუთრებით საფრანგეთს, შორის დავის მიზეზი თევზჭერის პოლიტიკაც იყო. დაძაბულობამ პიკს 2021 წლის შემოდგომაზე და დეკემბერში მიაღწია, როდესაც გაერთიანებულმა სამეფომ და ჯერზიმ (დიდი ბრიტანეთის სამეფო გვირგვინის მიწა, რომელიც ლა-მანშის სრუტეში მდებარეობს და ავტონომიური მმართველობა აქვს) გარკვეული რაოდენობის ფრანგული გემებისთვის თევზჭერის ლიცენზიის მიცემაზე უარი განაცხადა (France 24, 2021). საფრანგეთსა და დიდ ბრიტანეთს შორის დავაში ევროკავშირიც ჩართული იყო და ბრიტანეთს ლიცენზიების გაცემის საბოლოო ვადა დაუნესა, რასაც ბრიტანეთის ოფიციალური პირები არ აღიარებდნენ. საფრანგეთმა პირობა დადო, რომ თუ დავა დროულად არ მოგვარდება საპასუხო ზომებს მიმართავდა. ასევე, ევროკავშირის კომისიას მოსთხოვა, რომ დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ, ბრექსიტის შემდგომი შეთანხმების შეუსრულებლობის გამო, სამართლებრივი და საპასუხო ზომები მიეღო (Euronews, AFP, 2021). ფრანგმა მეთევზეებმა საფრანგეთისა და ჯერსის პორტებიც კი დაბლოკეს, თუმცა, აღნიშნულ ნაბიჯს უფრო გამაფრთხილებელი მიზანი ჰქონდა, რადგან მას მოძრაობა არ შეუჩერებია. გაერთიანებულმა სამეფომ ვადები არ დაიცვა, თუმცა მის გასვლამდე წინასწარი შეთანხმება არსებობდა და მალევე დიდმა ბრიტანეთმა და ჯერსიმ (PA Media, 2021) ზოგიერთ ფრანგულ ნავს ზოგიერთი – მაგრამ არა ყველა მოთხოვნის – თევზჭერის ლიცენზია მიანიჭეს (Aarup, 2021a). საბოლოოდ, როგორც 2022 წლის 10 აპრილს Financial Times-ი იტყობინებოდა, დიდმა ბრიტანეთმა და საფრანგეთმა „თევზჭერის ლიცენზიის დავაზე ზავს“ მიაღწიეს. დიდმა ბრიტანეთმა ლიცენზიების უმეტესი ნაწილი მიანიჭა და ამ ლიცენზიის მინიჭების გაგრძელებას დასთანხმდა იმ ნავებზე, „რომლებსაც შეეძლოთ დაემტკიცებინათ, რომ ისტორიულად მის [დიდი ბრიტანეთის] წყლებში თევზაობდნენ“ (Bounds, 2022).

გიბრალტართან დაკავშირებით, მხარეებს შორის ასეთი მწვავე დაძაბულობა არ არის. თუმცა, ოპტიმისტური გრაფიკი, რომელიც ექვს თვეში შეთანხმების მიღწევას მოიაზრებდა, ვერ შესრულდა და მოლაპარაკებები ჯერ კიდევ პროცესშია. ევროკომისიამ გიბრალტარის საკითხზე მოლაპარაკების მანდატის ტექსტის პროექტი 2021 წლის ივლისში წარმოადგინა (European Commission, 2021). მაგრამ მაშინდელმა ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, დომინიკ რააბმა, დაუყოვნებლივ პროტესტი გამოთქვა. მინისტრი ამტკიცებდა, რომ მანდატის ტექსტის პროექტი პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა შეთანხმებულ ჩარჩოებს და „გიბრალტარზე გაერთიანებული სამეფოს სუვერენიტეტის შესუსტებას

ცდილობდა» და შესაბამისად, არ შეიძლებოდა ის მოლაპარაკებების საფუძველი გამხდარიყო (Aarup, 2021b). შემდეგ, გაერთიანებული სამეფოს ოფიციალურმა პირებმა განაცხადეს, რომ გიბრალტარის მთავრობასთან „შეთანხმების გარეშე სცენარისთვის“ მჭიდროდ თანამშრომლობდნენ, რათა მზად ყოფილიყვნენ იმ შემთხვევისთვის, თუ ევროკავშირთან მოლაპარაკებები წარუმატებლად დასრულდებოდა (Gallardo, 2021a). შემდგომ მანდატის ტექსტის პროექტი ჩასწორდა და კომპრომისის მისაღწევად მოიცავდა დათქმას, რომ ესპანეთი სასაზღვრო სააგენტო Frontex-ს საზღვრის კონტროლისთვის შეთანხმების პირველი ოთხი წლის განმავლობაში დახმარებას სთხოვდა. 2021 წლის ოქტომბერში, ევროკავშირის საბჭომ დაამტკიცა კომისიის მანდატი, რათა გიბრალტარის საკითხზე მოლაპარაკებები „სუვერენიტეტისა და იურისდიქციის საკითხების შელახვის გარეშე“ გამართულიყო და მიღწეულიყო „ფართო და დაბალანსებული“ შეთანხმება (Gallardo, 2021b). თავდაპირველად, მოლოდინი იყო, რომ ხელშეკრულება 2021 წლის ბოლომდე დაიდებოდა; თუმცა, ბრექსიტის შემდგომი მოლაპარაკებები გიბრალტარზე 2022 წლამდე გაჭიანურდა. ამასობაში ესპანეთთან მყარი საზღვრის თავიდან აცილების მიზნით გარდამავალი შეთანხმებები გაგრძელდა (Gallardo, 2021c). მოლაპარაკებები 2022 წლის ივლისში ჯერ კიდევ მიმდინარეობს (HM Government of Gibraltar, 2022).

გამოყენებული ლიტერატურა

- Aarup, S.A. (2021b). *EU Commission outlines stance for post-Brexit negotiations on Gibraltar*, Politico, available at: <https://www.politico.eu/article/european-commission-releases-draft-mandate-for-post-brexit-gibraltar-talks/> (last visited: 09.07.2022)
- Aarup, S.A. (2021b). *UK grants 23 extra licenses to French fishermen amid post-Brexit spat*, Politico, available at: <https://www.politico.eu/article/uk-licenses-france-fishermen-post-brexit-spat/> (last visited: 10.07.2022)
- BBC. (2016). *EU Referendum Result*, available at: https://www.bbc.co.uk/news/politics/eu_referendum/results (last visited 25.02.2022)
- BBC. (2018a). *At-a-glance: The new UK Brexit plan agreed at Chequers*, available at: <https://www.bbc.com/news/uk-politics-44749993> (last visited: 07.03.2022)
- BBC. (2018b) *EU leaders agree UK's Brexit deal at Brussels summit*, available at: <https://www.bbc.com/news/uk-46334649> (last visited: 07.03.2022)
- BBC. (2018c). *Theresa May suffers three Brexit defeats in Commons*, available at: <https://www.bbc.com/news/uk-politics-46446694> (last visited: 07.03.2022)
- BBC. (2019a). *Brexit: EU and UK reach deal but DUP refuses support*, available at: <https://www.bbc.com/news/uk-politics-50079385> (last visited 25.02.2022)
- BBC. (2019b). *Brexit: MPs reject May's EU withdrawal agreement*, available at: <https://www.bbc.com/news/uk-politics-47752017> (last visited: 07.03.2022)
- BBC. (2019c). *Theresa May resigns over Brexit: What happened?*, available at: <https://www.bbc.com/news/uk-politics-48379730> (last visited: 07.03.2022)
- BBC. (2019d). *Brexit: PM to tell EU leaders to renegotiate deal*, available at: <https://www.bbc.com/news/uk-49385263> (last visited: 07.03.2022)
- BBC. (2019e). *Brexit: What is in Boris Johnson's new deal with the EU?*, available at: <https://www.bbc.com/news/uk-50083026> (last visited: 07.03.2022)
- BBC. (2022). *NI Election 2022: Prime minister to visit NI as DUP blocks assembly*, available at: <https://www.bbc.com/news/uk-northern-ireland-61427418> (last visited: 10.07.2022)
- BDO United Kingdom. (2017). *Article: UK position paper on Customs duty: How does it stack up?*, available at: <https://www.bdo.co.uk/en-gb/insights/business-edge/business-edge-2017/uk-position-paper-on-customs-duty> (last visited: 06.03.2022)
- Boffey, D. & Rankin, J. (2020). *Germany calls on UK to show more realism in Brexit negotiations*, The Guardian, available at: <https://www.theguardian.com/politics/2020/jul/24/germany-calls-on-uk-show-more-realism-brexit-negotiations> (last visited: 06.03.2022)
- Boffey, D. (2021). *EU ready to scrap most post-Brexit checks on British goods entering NI*, The Guardian, available at: <https://www.theguardian.com/world/2021/jul/24/eu-ready-to-scrap-most-post-brexit-checks-on-british-goods-entering-ni>

- www.theguardian.com/politics/2021/oct/12/eu-ready-to-scrap-most-post-brexit-checks-on-british-goods-entering-ni (last visited: 10.07.2022)
- Bounds, A. (2022). *UK and France reach truce over fishing licence dispute*, Financial Times, available at: <https://www.ft.com/content/f4472c2d-a0ad-41f9-98c1-54c13df81aba> (last visited: 10.07.2022)
- Burchard, H.V.D. (2021). *Brussels launches legal action against UK over Brexit breach*, Politico, available at: <https://www.politico.eu/article/eu-legal-action-uk-brexit-breach/> (last visited: 07.03.2022)
- Bush, S. (2022). *A full-blown trade war with the EU is unlikely, but Britain already suffers bitter side-effects*, Financial Times, available at: <https://www.ft.com/content/1c6b6a2d-bb0c-4886-9061-a6a6e9aec8c8> (last visited: 10.07.2022)
- Campbell, J. (2022). *Boris Johnson, Brexit and the Northern Ireland Protocol*, BBC, available at: <https://www.bbc.com/news/uk-northern-ireland-62070376> (last visited: 10.07.2022)
- Castle, S. (2022). *How a War Helped Ease a Rift Between Britain and the E.U.*, The New York Times, available at: <https://www.nytimes.com/2022/03/04/world/europe/ukraine-britain-eu.html> (last visited: 10.07.2022)
- Chase, J. (2019). *Brexit deal: What Germany wants, what Theresa May can get*, Deutsche Welle, available at: <https://www.dw.com/en/brexit-deal-what-germany-wants-what-theresa-may-can-get/a-46678110> (last visited: 06.03.2022)
- Cini, M. (2019). "Intergovernmentalism" in Cini, M. & Borrigan N.P.S. (eds). *European Union Politics*, Oxford: Oxford University Press, pp. 69-81
- Cooper, C. (2019). *Theresa May requests Brexit extension to June 30*, available at: <https://www.politico.eu/article/theresa-may-brexit-extension-june-30/> (last visited: 07.03.2022)
- Downing, J. (2022). *EU trade officials have a 'hit list' of UK products as trade war looms*, available at: <https://www.independent.ie/irish-news/news/eu-trade-officials-have-a-hit-list-of-uk-products-as-trade-war-looms-41749648.html> (last visited: 10.07.2022)
- Dunham, A. (2020). *Seven ways Spain will be changed by Brexit*, available at: <https://www.thelocal.es/20201215/seven-ways-spain-will-be-impacted-by-brexit/>
- Dunin-Wasowicz, R. (2017a). *The UK position paper on Northern Ireland and Ireland is both conciliatory and vague*, available at: <https://blogs.lse.ac.uk/brexit/2017/08/17/uk-position-paper-on-northern-ireland-and-ireland-is-both-conciliatory-and-vague/> (last visited: 06.03.2022)
- Dunin-Wasowicz, R. (2017b). *UK government's customs position paper fails to answer key questions*, available at: <https://blogs.lse.ac.uk/brexit/2017/08/15/uk-governments-customs-position-paper-fails-to-answer-key-questions/> (last visited: 06.03.2022)
- Edginton, T. (2020). *Brexit: What are the key points of the deal?*, BBC, available at: <https://www.bbc.com/news/explainers-55180293> (last visited: 07.03.2022)
- El Pais. (2021). *Deal between Spain and UK plans to eliminate Gibraltar border checkpoint*, available at: <https://english.elpais.com/brexit/2021-01-11/deal-between-spain-and-uk-plans-to-eliminate-gibraltar-border-checkpoint.html> (last visited: 07.03.2022)
- Euronews, AFP. (2021). *France threatens litigation if UK does not settle fishing licence row by Friday evening*, available at: <https://www.euronews.com/2021/12/09/france-threatens-litigation-if-uk-does-not-settle-fishing-licence-row-by-friday-evening> (last visited: 10.07.2022)
- European Commission. (2017). *Speech by Michel Barnier, the European Commission's Chief Negotiator, following the first round of Article 50 negotiations with the UK*, available at: https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/SPEECH_17_1704 (last visited: 06.03.2022)
- European Commission. (2021). *EU-UK relations: Commission proposes draft mandate for negotiations on Gibraltar*, available at: https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/ip_21_3747 (last visited: 09.07.2022)
- European Council (2017b). *European Council (Art. 50) guidelines for Brexit negotiations*, available at: <https://www.consilium.europa.eu/en/press/press-releases/2017/04/29/euco-brexit-guidelines/> (last visited: 06.03.2022)
- European Council (2017c). *Council (Art 50) authorises the start of Brexit talks and adopts negotiating directives*, available at: <https://www.consilium.europa.eu/en/press/press-releases/2017/05/22/brexit-negotiating-directives/> (last visited: 03.06.2022)
- European Council. (2016a). *Press statement by President Donald Tusk on the outcome of the referendum in the UK*, available at: <https://www.consilium.europa.eu/en/press/press-releases/2016/06/24/tusk-statement-uk-referendum/> (last visited: 04.03.2022)

- European Council. (2016b). *Statement by the EU leaders and the Netherlands Presidency on the outcome of the UK referendum*, available at: <https://www.consilium.europa.eu/en/press/press-releases/2016/06/24/joint-statement-uk-referendum/> (last visited: 04.03.2022)
- European Council. (2016c). *Remarks by President Donald Tusk during his meeting with UK Prime Minister Theresa May*, available at: <https://www.consilium.europa.eu/en/press/press-releases/2016/09/08/tusk-meeting-uk-may-london/> (last visited: 05.03.2022)
- European Council. (2016d). *Statement after the informal meeting of the 27 heads of state or government, 15 December 2016*, available at: <https://www.consilium.europa.eu/en/press/press-releases/2016/12/15/statement-informal-meeting-27/> (last visited: 05.03.2022)
- European Council. (2017a). *Remarks by President Donald Tusk on the next steps following the UK notification*, available at: <https://www.consilium.europa.eu/en/press/press-releases/2017/03/31/tusk-remarks-meeting-muscat-malta/> (last visited: 06.03.2022)
- European Council. (n.d.) *Brexit*, available at: <https://www.consilium.europa.eu/en/policies/eu-uk-after-referendum/> (last visited: 06.03.2022)
- France 24. (2021). *France slams UK's 'unacceptable' decision to deny French boats fishing licenses*, available at: <https://www.france24.com/en/europe/20210929-jersey-grants-95-licences-to-french-trawlers-but-turns-down-75> (last visited: 10.07.2022)
- Gallardo, C. & Pogatchnik, S. (2022). *EU launches legal action over UK's Northern Ireland Brexit bill*, Politico, available at: <https://www.politico.eu/article/eu-launches-legal-action-over-uks-breaches-of-post-brexit-northern-ireland-rules/> (last visited; 10.07.2022)
- Gallardo, C. (2021a). *UK prepares for Gibraltar no-deal in case EU talks fail*, Politico, available at: <https://www.politico.eu/article/uk-prepares-no-deal-scenario-for-gibraltar-in-case-talks-with-eu-fail/> (last visited: 09.07.2022)
- Gallardo, C. (2021c). *Post-Brexit talks on Gibraltar's future drag into 2022*, Politico, available at: <https://www.politico.eu/article/post-brexit-talks-on-gibraltars-future-drag-into-2022/> (last visited: 09.07.2022)
- Gallardo, C. (2022a). *UK and EU to keep talking after 'constructive' Northern Ireland Brexit meeting*, Politico, available at: <https://www.politico.eu/article/post-brexit-northern-ireland-talks-continue-in-constructive-atmosphere/> (last visited: 07.10.2022)
- Gallardo, C. (2022b). *EU warns Northern Ireland's place in single market at risk amid Brexit row*, Politico, available at: <https://www.politico.eu/article/eu-brexit-northern-ireland-place-eu-single-market-risk/> (last visited; 10.07.2022)
- Gallardo, C. (2021b). *EU approves mandate for Gibraltar treaty negotiations with UK*, Politico, available at: <https://www.politico.eu/article/eu-mandate-gibraltar-treaty-negotiations-uk/> (last visited: 09.07.2022)
- Garicano, L. (2016). *How Spain should negotiate Brexit: Preserving a tangled web*, VoxEU, available at: <https://voxeu.org/article/how-spain-should-negotiate-brexit-preserving-tangled-web> (last visited: 06.03.2022)
- HM Government of Gibraltar. (2022). Chief Minister in Madrid for treaty talks – 478/2022, available at: <https://www.gibraltar.gov.gi/press-releases/chief-minister-in-madrid-for-treaty-talks-4782022-8080> (last visited: 09.07.2022)
- Islam, F. (2022). *Europe is prepping for a trade war no-one wants*, BBC, available at: <https://www.bbc.com/news/business-61789030> (last visited: 10.07.2022)
- Landler, M. & Castle, S. (2020). *Britain and E.U. Reach Landmark Deal on Brexit*, available at: <https://www.nytimes.com/2020/12/24/world/europe/brexit-trade-deal-uk-eu.html> (last visited 25.02.2022)
- Molthof, L. (2018). *Germany and Brexit: Berlin won't put economic interest above its political support for European integration*, available at: <https://blogs.lse.ac.uk/politicsandpolicy/germany-and-brexit-berlin-wont-put-economic-interest-above-its-political-support-for-european-integration/> (last visited: 06.03.2022)
- Moravcsik, A. & Schimmelfennig, F. (2018). "Liberal Intergovernmentalism" in Wiener, A., Börzel, T.A. & Risse, T (eds.). *European Integration Theory (3rd edn)*, Oxford: Oxford University Press, pp. 67-87
- Moravcsik, A. (1998). *The Choice for Europe: Social Purpose and State Power from Messina to Maastricht*, London and New York: Routledge.
- O'Carroll, L. (2021). *EU rejects UK's demand to scrap Northern Ireland protocol*, The Guardian, available at: <https://www.theguardian.com/politics/2021/sep/10/scrapping-northern-ireland-protocol-will-only-make-things-worse-says-eu> (last visited: 07.10.2022)

- O'Carroll, L. (2021). *UK 'will not cave in over role of European court in NI protocol'*, The Guardian, available at: <https://www.theguardian.com/politics/2021/oct/23/uk-will-not-cave-in-over-role-of-european-court-in-ni-protocol> (last visited: 10.07.2022)
- O'Carroll, L., Elgot, J. & Rankin, J. (2021). *UK says it wants to substantially rewrite Northern Ireland Brexit protocol*, The Guardian, available at: <https://www.theguardian.com/politics/2021/jul/21/uk-substantially-rewrite-northern-ireland-brexit-protocol> (last visited: 07.10.2022)
- O'Toole, F. (2017). *The UK government's border proposals for Ireland are absurd*, The Guardian, available at: <https://www.theguardian.com/commentisfree/2017/aug/16/uk-government-border-proposals-ireland-brexit-position-paper> (last visited: 06.03.2022)
- PA Media. (2021). *UK and Jersey issue more licences to French fishing boats in post-Brexit row*, The Guardian, available at: <https://www.theguardian.com/business/2021/dec/11/uk-and-jersey-issue-more-licences-to-french-fishing-boats-in-post-brexit-row> (last visited: 10.07.2022)
- Parsons, C. (1998). The Choice for Europe: Social Purpose and State Power from Messina to Maastricht by Andrew Moravcsik – Review by Craig Parsons. *French Politics and Society*, Vol. 17, No. 1 (Winter 1999), pp. 74-78, available at: https://www.academia.edu/22384600/The_Choice_for_Europe_Social_Purpose_and_State_Power_from_Messina_to_Maastricht_by_Andrew_Moravcsik (last visited 25.02.2022)
- Payne, A. (2017). *Theresa May's Brexit plans are allegedly being "rushed through" without proper scrutiny*, available at: <https://www.businessinsider.com/theresa-mays-brexit-plans-are-allegedly-being-rushed-through-without-proper-scrutiny-2017-8> (last visited 25.02.2022)
- Pogatchnik, S. (2022). *Ireland: Johnson may need to go before Belfast's Brexit dilemma can be solved*, Politico, available at: <https://www.politico.eu/article/ireland-boris-johnson-belfast-brexit-dilemma-varadkar/> (last visited: 10.07.2022)
- Politico. (2017). *Theresa May's letter triggering Article 50 in full*, available at: <https://www.politico.eu/article/theresa-mays-letter-triggering-article-50-in-full/> (last visited 25.02.2022)
- Powell, J. (2021). *My Secret Brexit Diary by Michel Barnier review – a British roasting*, The Guardian, available at: <https://www.theguardian.com/books/2021/sep/25/my-secret-brexit-diary-by-michel-barnier-review-a-british-roasting> (last visited: 06.03.2022)
- Powell, T. (2018). *Michel Barnier picks apart Theresa May's Brexit plan and warns it must be 'workable'*, available at: <https://www.standard.co.uk/news/politics/michel-barnier-picks-apart-theresa-may-s-brexit-plan-and-warns-it-must-be-workable-a3892876.html> (last visited: 07.03.2022)
- Rankin, J. (2020). *Where's the catch in the Brexit fishing talks?*, The Guardian, available at: <https://www.theguardian.com/politics/2020/jun/02/wheres-the-catch-in-the-brexit-fishing-talks> (last visited: 07.03.2022)
- Reuters. (2017). *EU Commission says will study UK position paper on customs carefully*, available at: <https://www.reuters.com/article/us-britain-eu-commission-idUKKCN1AV0Rj> (last visited: 06.03.2022)
- Reuters. (2021). *EU's Northern Ireland proposals don't go far enough, UK's Frost says*, available at: <https://www.reuters.com/world/uk/eus-nireland-proposals-do-not-go-far-enough-uks-frost-says-2021-10-25/> (last visited: 10.07.2022)
- Reuters. (2022). *UK-EU trade war? Sefcovic says all options are on the table*, available at: <https://www.reuters.com/world/europe/uk-eu-trade-war-sefcovic-says-all-options-are-table-2022-06-16/> (last visited: 10.07.2022)
- Ryan, J. (2019). *Germany will not allow Brexit to compromise EU core principles*, available at: <https://blogs.lse.ac.uk/europpblog/2019/03/20/germany-will-not-allow-brexit-to-compromise-eu-core-principles/> (last visited: 06.03.2022)
- Sandford, A. (2022). *Post-Brexit Guide: Where are we now – and how did we get here?*, Euronews, available at: <https://www.euronews.com/my-europe/2021/06/23/brexit-draft-deal-first-of-many-hurdles-to-a-smooth-exit> (last visited: 07.03.2022)
- Schnapper, P. (2021). *The French View on Brexit*, UK IN A CHANGING EUROPE, available at: <https://ukandeu.ac.uk/the-french-view-on-brexit/> (last visited: 07.03.2022)
- Stewart, H., Mason, R. & Syal, R. (2016). *David Cameron resigns after UK votes to leave European Union*, The Guardian, available at: <https://www.theguardian.com/politics/2016/jun/24/david-cameron-resigns-after-uk-votes-to-leave-european-union> (last visited: 04.03.2022)
- The Economist. (2022). *Little sign of compromise over the Northern Ireland protocol*, available at: <https://www.economist.com/britain/2022/01/29/little-sign-of-compromise-over-the-northern-ireland-protocol> (last visited: 10.07.2022)